წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | ხუთშაბათი, 28 აპრილი 1916 წ. | № 94

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., **კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი:** სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.

**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

**ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი**

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

## სახალხო სახლი

**პარასკევს, 29 აპრილს** 1916 წ., სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრე **ელ. ჩერქეზიშვილის** 30 წლ. სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართავს სადღესასწაულო წარმოდგენას. **წარმოდგენილი იქნება:**

1) **ხანუმა,** 1, 2 და 4 მოქმ. კომ. **ცაგარლისა.**

2) **დედის-ერთა,** 1 მოქმ. ვოდ. **გუნიასი.**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ანკარა, არჯევანიძე, გოდერძი, მჭედლიშვილი, ქართველიშვილი, **ელ. ჩერქეზიშვილი,** ბ. ბ. ანაშვილი, გოცირიძე, მერაბიშვილი, მეტრეველი, რომანიშვილი სოსო, ხახანაშვილი, ჯაბაური და სხვ.

**ადგილების ფასი 2 მ. 10 კ.-დან 10 კ.-დე. ✦ დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2-დე და საღ. 6—8 ს.

რეჟისორი **კ. შათირიშვილი.**

## შეშის საწყობი
## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

**ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში**

## საკუთარი ტყიდან

**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

### ქ. გაგოში
## ღვინით ვაჭრობა
## „მელაანი“
### თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

**იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები**

(112—წ.)

### საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
### ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**

(102—წ.)

### საგალანტერიო მაღაზია
## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
## ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**

**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**

(101—წ.)

## ვაგზლის სამკურნალოში

**(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)**

### სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა** მიიღებს **დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

(თ.—126—24)

## მოდური მაღაზია
## მ. გაშარულისა

### სასახლის ქუჩაზე

იშოვება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი

## მხოლოდ ევროპიული

(—83—12)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხაილოვის პროსპექტი № 129)

**ხუთშაბათს,** 28 აპრილს, **სინემატოგრაფი**

**პარასკევს,** 29 აპრილს, **საზანდარი**

**შაბათს,** 30 აპრილს, **სიმებიანი ორკესტრი**

კვირას, 1 მაისს გადასვლა საზაფხულო შენობაში, პროგრამა იქნება განსაკუთრებით გამოცხადებული. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზედ.

**ექიმი-დოსტაქარი**

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

**ე ქ ი მ ი**

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**ყ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

**ტელეფონი, 17—21.**

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი, 26 აპრ.** ოფიციალური. **დასავლეთი ასპარეზი.** გერმანელებმა იკსკიულის სიმაგრეებთან საარტილერიო სროლა გააჩაღეს. დვინაზე, იაკობშტატის ზემოთ, არტილერიის საშუალებით მტრის მუშები გავფანტეთ.

**კავკასიის ასპარეზი.** ერზინჯანის მიმართულებით ოსმალებმა უნაყოფოდ რამდენიმე იერიში მოიტანეს ჩვენს სიმაგრეებზე. მტერი ძლიერ დაზარალდა და საღამოთი უკან დაიხია.

დიარბექირის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ოსმალები მთის კალთებიდან სამხრეთით, მუშის მიდამოებისკენ დასწია. ბაღდადის მხრით მტერი გამაგრებულ ადგილებიდან გავდევნეთ და დასავლეთით დაიხია. მტრის დევნის დროს ხელთ ვიგდეთ ერთი სამთო ზარბაზანი.

**პარიზი, 26 აპრილი.** ოფიციალი. დღის ცნობა. უაზის და ენის შუა მტრის მოულოდნელი მუშაობა მოვიგერიეთ ოტრეშის სამხრეთ-აღმოსავლეთით. არგონებში, ბალანტის მიდამოებში ჩვენ ორი საფარი ჩავიგდეთ ხელთ, რომლის დამცველნიც ამოვხოცეთ. მაასის მარცხენა ნაპირზე მტერი მთელი ღამის განმავლობაში „304“ სიმაღლეს ზარბაზნებს უშენდა. 3 საათზე მტერმა იერიში მოიტანა, რომელიც მოვიგერიეთ მაასის მარჯვენა მხარეზე კონტრ-იერიშით მტერი განვდევნეთ თხრილების პირველ წყებიდან, რომელიც ტიომონის ფერმიდან ჩრდილოეთ-დასავლეთით მდებარეობს. დუომონ-ვოს შუა მტერმა ზარბაზნის საშინელი სროლა გააჩაღა, ბრძოლა ეიკშტატილის მიდამოებსაც მოედო ვევრში, აპრემონის ტყის და ფეხტის შუა ხელის ყუმბარით ბრძოლაა. სხვა ადგილებში შედარებით სიმშვიდეა.

**პარიზი, 25 აპრილი.** ოფიციალი დღის ცნობა. მაასის მარცხენა ნაპირზედ „304“ სიმაღლის მიდამოებში ღამე ბრძოლა გაცხოველდა. მტერმა ვერ აისრულა გულის წადილი და დიდად დაზარალდა. ჩვენმა ჯარმა ენერგიული კონტრ-იერიში მიიტანა და მტერი უკუ აგდო. სიმაღლე „304“ აღმოსავლეთით ტყვეთ ვიგდეთ 50 კაცი. მაასის მარჯვენა ნაპირზე ოდრემონის ტყის სამხრეთით დავიბრუნეთ გუშინ წართმეული ადგილები. ხელთ ვიგდეთ 30 ტყვე, მათ შორის ორი აფიცერი. გუშინდელი მოქმედება ოდრემონის ტყის და დუომონის შორის მტერს ძვირად დაუჯდა. ვერდენის უბანში, გერმანელთა ორი ჰაეროპლანი დავაზიანეთ. ერთი მათგანი ორნის მიდამოებში ჩამოვარდა, მეორი [illegible]

**პარიზი, 25 აპრილი.** ოფიციალი. დილის ცნობა მაასის მარცხენა ნაპირზე, მტერმა ყუმბარა დაუშინა ავოკურის ტყეს, „287“ სიმაღლის ნაწილს და „304“-ის დასავლეთით მდებარე ადგილებს. ამ ადგილებში ცეცხლი შევაჩერეთ. მაასის მარჯვენა ნაპირას, ვევრში, არტილერია ღონივრად მოქმედობდა. ჩვენ, დიდად დავაზარალეთ მტრის საბანაკო ადგილები ევეზანის ჩრდილო-დასავლეთით და ტიოკურის სამხრეთით. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში სიწყნარეა.

**ჰავრი, 25 აპრილი.** ბელგეთის ცნობა. გუშინ, დიქსმიუდეს მიდამოებში მტერი შეეცადა ყუმბარის სროლას, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ ჩაშალა მისი განზრახვა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**რუსეთის ასპარეზი**

ამ უკანასკნელ კვირაში გერმანელებმა რიგის ასპარეზზე ზარბაზნის სროლა გააცხოველეს. ერთის მხრით ბაბიტკანგერას ტბებთან, მეორეს მხრით იკსკიულის სიმაგრეებთან. ამ ადგილებში ზარბაზნების გარდა, ქვეითა ჯარიც მოქმედობს და სცდილობს რამე სიმაგრის ხელში ჩაგდებას. შლოკის ხაზით იერიშებს დაზვერვის ხასიათი აქვს. ილუკსთან მტერმა ცოტათი უკან დაიხია იმისათვის, რომ რუსებმა სოფ. გორბუნოვკასთან და გინოვკასთან წინ წაიწიეს, რაც რომ მათ ილუკსთან ცუდ მდგომარეობაში აყენებდა.

გერმანელების ლაზარეთი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ნოვოალექსანდროვკაში იყო, გადაიტანეს დაბ. უციანთში, 45 ვერ. მანძილით დაშორებული ნოვო-ალექსანდროვკადან. გერმანელთა ამ გვარი მოქმედება შეიძლება იმით აიხსნას, რომ ისინი შესაძლებლად სთვლიან ბრძოლის ხაზის გაფართოვებას, რაც უფრო გაშლილ ადგილს მოითხოვს.

**რიგასთან**

საარტილერიო ბრძოლა ორივე მხარეს გაძლიერდა. სროლამ განსაკუთრებით დასავლეთ დვინასთან მიაღწია უმაღლეს წერტილს. 18 აპრილს, რიგის ასპარეზზე, გერმანელებმა იდღესასწაულეს მაისობა. ისმოდა გერმანელთა ცნობილი სამაისო სიმღერები და გრამაფონი. რუსებმა მათი დღესასწაული დაარღვიეს თოფის სროლით და გერმანელებმაც საპასუხოდ აამოქმედეს თოფები და ტყვიისმფრქვეველები.

**ვინდავა**

ვინდავაში უკან დახევის დროს, შარშან რუსებმა მთლად ააფეთქეს ნავთლოდ ნავთსადგურის ნაწილი [illegible] გენიათ. ვინდავა გერმანელებმა ნაღმოსანთა საწყობად აქციეს.

**ალექსის სატუსაღო**

ალექსის სატუსაღო, სადაც მოთავსებულია ნამინისტრალი სუხომლინოვი, ძველის ძველი ნაწილია პეტრე-პავლეს ციხისა. სატუსაღო დაშორებულია ციხიდან მცირე მანძილით და მას აქეთ რაც პეტრე დიდმა დაატუსაღა აქ თავისი შვილი ალექსი, იგი ითვლება სახელმწიფოს დიდ დამნაშავეთა სატუსაღოდ. აქ იყვნენ დაპატიმრებულნი კნეინა ტარაკანოვისა, ხოლო 1825 წ. 1 მაისის შემდეგ, გამოჩენილი დეკაბრისტები: პესტელი, კიუხელბეკერი, ბესტუჟევ-რიუმინი, მურავიოვი, ცნობილი რილეევი, თავადი ტრუბეცკოი და სხვ. რამდენიმე ხნის შემდეგ, აქვე მოჰხვდნენ პოლონეთის საიდუმლო საზოგადოების წევრნი და მეთაურნი.

სატუსაღოს პატარა ეზოში დარგულია ვაშლის და ცაცხვის ხეები, გადმოცემით დეკაბრისტის ბატენკოვისაგან. აქვე იყო მოთავსებული ცნობილი ნეჩაევი. მე-80 წლებში აქ მოჰხვდნენ „ნაროდნიკები“, რომელთა რიცხვიდან მოროზოვი და პოლივანოვი, გადიყვანეს შლისელბურგის ციხეში.

**ინგლისის ჯარი.**

ასკვიტმა განაცხადა: ომის დაწყებიდან, ინგლისის ჯარი დიდად გამრავლდა. 1914 წლის მარიამობისთვეს, იმპერიის ძალა შესდგებოდა 26 დივიზიისაგან, ახლა კი, იგი წარმოადგენს 71 დივიზიას და თუ გავითვალისწინებთ ახალშენთა 12 დივიზიასაც, ინდოეთის გარდა, თვალწინ დაგიდგება 83 დივიზია.

საერთოდ ინგლისის სამხედრო და საზღვაო ძალა წარმოადგენს 5 მილიონ კაცს.

**გერმანეთი და რუმინეთი.**

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: „Temps“-ი ეხება გერმანეთ-რუმინეთის შეთანხმებას და მოითხოვს მოკავშირეთ მეტი ყურადღება მიაქციონ მათს შეთანხმებას. ვერდენთან ბრძოლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რუმინეთზე, რომელიც მოკავშირეთ უნდა გამოიყენონ.

„Temps“-ი მოითხოვს სალონიკის ჯარის გაძლიერებას, რომ ამანაც გავლენა იქონიოს რუმინეთზე.

**ბულგარეთის დელეგაცია ბუდაპეშტში.**

ბულგართა დელეგაციის პატივსაცემლად 19 აპრილს ბუდაპეშტში გამართულს ბანკეტზე, ჰუნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტმა ტისამ ცხარე სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც განსაკუთრებითი ხაზი გაუსვა ბულგარეთის გამოსვ[illegible] ბულგარეთი მიემხრო ევროპის [illegible]ვა რთული და ისტორიული პროცესი, რომელიც ასე შეეგუება მისს ეროვნულს სულს. მეფე ფერდინანდი, ყოველთვის სცდილობდა ჰაბსბურგთა სასარგებლოდ... ბულგართა დელეგაციის სახელობით საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა მომჩილოვმა.—ტისსას სახელი, არასოდეს არ ამოიშლება ბულგარელთა ხსოვნიდან!

**გერმანეთის მუქარა.**

„Berliner Tageblatt“-ი სწერს: რაც შეიძლება დიდად უნდა გავაცხოველოთ წყალქვეშა ნავებით ბრძოლა ინგლისის ფლოტთან. მალე მოხდება ბრძოლა ინგლისის სამხედრო გემებთან ლამანშსა და ხმელთა-შუა ზღვაზე.

**საბერძნეთი და მოკავშირენი.**

საბერძნეთსა და მოკავშირეთა შორის გამოურკვევლობაა. საბერძნეთის მთავრობას დღემდე თანხმობა არ გაუგზავნია სერბეთის ჯარის გადაყვანის შესახებ მათ მიწა-წყალზე. მოკავშირენი საბერძნეთისაგან მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მოელიან. მოკავშირეთ საბერძნეთის ორჭოფული მდგომარეობის გამორკვევა უნდათ. მოკავშირეთა ელჩებს ბრძანება მოუვიდათ, იმოქმედონ მოკავშირეთა შტაბებთან ერთად საბერძნეთის საკითხში.

“Telegraf“-ში ვკითხულობთ: რის იმედი აქვს საბერძნეთის მთავრობას, რომ მოკავშირეთა წინაშე პროვოკაციულ პოლიტიკას აწარმოებენ? საბერძნეთი ომში რომ ჩაერიოს მოკავშირეთა წინააღმდეგ, ხომ ერთი კვირის განმავლობაში მცხოვრებნი შიმშილით ამოწყდება. რამდენიმე საათია საჭირო, რომ ათინა, პატრასი და სალონიკი მოკავშირეებმა ნაცარმტვრად აქციონო. ამ გვარ პირობებში საბერძნეთის პოლიტიკა მისივე დამღუპველია.

**ლიბკნეხტის დაპატიმრება.**

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: რეიხსტაგის ერთ-ერთ მომავალ კრებაზე ლიბკნეხტის დაპატიმრებას შეეხებიან. სოციალისტთა ფრაქცია მის განთავისუფლებას მოითხოვს.

ლიბკნეხტის დაპატიმრებას პირველ ხანად მალავდნენ. „Berliner Lokal-Anzeiger“ ამართლებს მის დაპატიმრებას. „Politiken“ ამ საკითხის შესახებ დაცინვით ამბობს: დაპატიმრე-

ბის გამართლება ჯერ ნაადრევია. ჯერ უნდა ლიბკნეხტის ბრალდების საბუთები გავიგოთ.

**ირლანდიაში.**

დუბლინიდან იტყობინებიან: ღენ. მაკ-უელმა ჯარისადმი ბრძანება გასცა, სადაც ჯარს მადლობას უხდის გმირობისათვის, რომელიც ირლანდიელ მეამბოხეთა ჩაქრობაში გამოიჩინეს. მაკ-უელი განსაკუთრებით მადლობას უცხადებს ირლანდიელთა პოლკებს, რომელთაც ამბოხების ჩაქრობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს თურმე.

**გერმანეთი და შეერთებული შტატები.**

„რუს. ვედ." კოპენჰაგენიდან ატყობინებენ: შესდგა ისტორიული კრება რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიისა. კანცლერი გერმანეთსა და შტატების განწყობილებას შეეხო. დეპუტატებს ხელ-წერილი აქვთ ჩამორთმეული ყველაფერი საიდუმლოდ იქონიონ. ბერლინში ფიქრობენ: საქმეს გადასჭრის ვილსონიო. თუ რომ იგი არ აიძულებს ინგლისს, მოჰხსნას გერმანეთის ალყა ზღვიდან, მაშინ უთანხმოება ახალ მიმართულებას მიიღებს.

საპასუხო ნოტას, გერმანელთა პოლიტიკური წრეები და პრესა, კარგათ შეჰხვდა. იმედს გამოსთქვამენ, რომ ვილსონი შესძლებს გერმანეთის ალყის შესუსტებას.

**მაკედონიის ასპარეზი.**

როგორც „ბირჟ. ვედ."-ს ატყობინებენ: გერმანელი მფრინავები ძალიან მოქმედებენ მაკედონიის ასპარეზზე უკანასკნელ მიღებულ ცნობებით, ფელდმარშალს მაკენზენს საბერძნეთის საზღვართან დაუთვალიერებია გერმანელ-ბულგართა ჯარები.

# ბრძოლის ველზე

ვერდენთან ბრძოლა არ ნელდება. გერმანელები უმაგალითო იერიშებს განაგრძობენ. „304" მაღლობი საარტილერიო ცეცხლის ფარგლებიდან გამოდის და ნელ-ნელ გერმანელთა ხელში გადადის. უნდა ვიფიქროთ, მისი დაუფლება ამ ახლო მომავალში მოხდება და ვერდენის საზოგადო ბედიც მით გარდაწყდება. ასეთივე სასტიკი ბრძოლაა მაასის აღმოსავლეთით, დუომონსა და ვოს შუა. აქ სროლა ახლა ეიქსმატილიონთან გადაიტანეს გერმანელებმა. [illegible] რიშებით მოდიან. როგორც ირკვევა, ყველა მიმართულებით ჯერ მხოლოდ მოწინავე რაზმეში იღებენ მონაწილეობას. საოცარია, თვით ტრაპიზონის დაცემის დროს თურმე მხოლოდ ერთ დივიზიას მიუღია მონაწილეობა ომში, დანარჩენნი კი უბრძოლველად წასულან. საზოგადოდ ერზინჯანის მიმართულებით და დიარბექირით ბევრი ისეთი დივიზიებია, რომელთაც მონაწილეობა ჯერ ომში არ მიუღიათ.

რიგა-დვინსკის ხაზზე გერმანელები დიდს მზადებაში არიან. „რუსკი ინვალიდის" სიტყვით რკინის გზებით დაუქსელიათ მთელი ეს რაიონები. ჯარებს საზაფხულო ტანისამოსი მოსვლიათ, კასკები. იქსკიულის მიმართულებით შეუწყვეტელი საარტილერიო სროლაა...

შავ ზღვაში „ბრესლაუმ" გამოითარეშა. ნახევარ საათის სროლის შემდეგ დააზიანა ევპატორიის ნავთსადგური, ერობათა კავშირის ტრანსპორტები, იალქნიანი ხომალდები, თვით ქალაქსაც ზიანი მიაყენა და ისე გაიქცა.

იტალეთი ისევ გაყუჩებული ომობს!..

X.

# დეპეშები

**(პეტრ. სააგენტოს დეპეშები).**

ვერდენის ასპარეზზე „304" სიმაღლესთან საშინელი ბრძოლაა; ფრანგებმა აქ დაკარგული თხრილები დაიბრუნეს.

—

აქვე ფრანგებმა პირველ წყების თხრილებიდან გერმანელები უკან გააბრუნეს.

—

უაზსა და ენს შუა გერმანელებს მკაცრი იერიშები მიაქვთ.

—

რუსეთის ასპარეზზე გერმანელები იკსკიულის მიდამოებს ზარბაზნებს უშენენ.

—

კავკასიის ასპარეზზე ერზინჯანის მიმართულებით ოსმალებმა იერიშები მიიტანეს. რუსებმა მოიგერიეს.

—

ასკვიტის ცნობით, დუბლინში აჯანყების დროს, მთავრობამ 9 კაცი უკვალოდ დაჰკარგა, 12 მოუკლეს, 338 დაუჭრეს.

## თბილისი, 28 აპრილი.

**აფხაზთა დეპუტაციის ჩამოსვლა** თბილისს აფხაზთა დეპუტაცია ჩამოვიდა; იგი სთხოვს მეფის ნაცვალს რომ სოხუმის ოლქი ცნობილ იქმნას დამოუკიდებელ საერობო ერთეულად და თანაც რომ სოხუმის ოლქი სოხუმისგუბერნიად, ხოლო მისი ოთხი საბოქაულო ნაწილი: გუდაუთის, გუმისტის, სამურზაყანოს და კოდორის—ოთხ მაზრად გამოცხადდეს. ამგვარად, აფხაზთა მოწინავე საზოგადოების სურვილი ის არის, რომ მათ მხარეშიც შემოღებულ იქმნას ერთი სოხუმის საგუბერნიო ერობა და ოთხიც სამაზრო. უკეთუ კავკასიის მეფის ნაცვალი მისი იმპერატორებითი უმაღლესობა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ამ სათხოვარს არ შეიწყნარებს, იმ შემთხვევაში დეპუტაცია შუამდგომლობს, რომ მთელი სოხუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიაზედ იქმნას მიწერილი.

დიდი ხანი არ არის რაც კერძოთ აფხაზეთის საქმე სრულიად საქართველოს საქმედ ითვლებოდა და საქართველოს საქმე და საკითხი—კერძოდ აფხაზეთის საქმედ და საკითხად. ისტორიულად აფხაზეთი და საქართველო ერთმანეთის განუშორებელი თანამგზავრი ყოფილა, ერთი ჰქონიათ კულტურა და პოლიტიკა; ერთი ჰქონიათ სახელმწიფოებრივი მიზანი და ცხოვრება. საქართველოს პოლიტიკური შეკრება და გაერთიანება აფხაზეთიდან დაწყებულა და ამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეში დიდი როლი უთამაშნია თვით აფხაზთა მეფეს. ეს სახელმწიფოებრივი თანაცხოვრება მრავალ საუკუნეს განუმტკიცებია. აფხაზეთიცა და საქართველოც ერთმანეთის შველა-დაცვისათვის დაღვრილ სისხლით აფხაზეთ-საქართველოს კავშირს ჰქმნიდენ მთელი წყება საუკუნეთა განმავლობაში. აფხაზეთ-ქართველთა ისტორია ამის უტყუარი მოწმეა.

მაგრამ ორთავეს დაგვიდგა საშინელი დრო, როდესაც ერთმა და იმავე ძალამ აფხაზეთი და საქართველო შუაში გასჭრა და ცალ-ცალკედ თითეულის გადაგვარებას შეეცადა. მას აქეთია არც ჩვენ დავგვყრია ხეირი და არც აფხაზებს. თითქოს ერთმანეთის დავიწყებაც შეგვეპარა. აფხაზებმა თითქოს პირიც იბრუნესო და ჩვენ კიდევ ერთ ადგილაზე ვბრძოდით. მრავალ საუკუნის განმავლობაში გაჭედილი და დაცული ნათესაობა თან და თან ირღვეოდა და ჰქრებოდა. შემოჭრილი მესამე ძალა, ორთავეს საზიანოდ, თვის მიზანს აღწევდა. დიდის ზარალით, მაგრამ მაინც კრიზისი გადავიტანეთ. ამ გათიშულ ბრძოლაში დედა-საქართველო უფრო უვნებელი გადარჩა, ვიდრე აფხაზეთი, რომელიც რიცხვითაც უფრო მცირე იყო და სწავლა-განათლებითაც უფრო სუსტი. ამ კრიზისის გადატანის შემდეგ, ცოტა სული მოვითქვით, მოვღონიერდით და სუსტათ ერთმანერთის ძებნას შევუდექით. განა მარტო აფხაზეთი გვაკლდა?! საქართველოს სხვა ნაწილებიც, მესხეთი, ლაზისტანი და დღევანდელი საქრისტიანო საქართველოც სხვა და სხვა დროს ერთ ერთმანეთს დაეკარგნენ და განიბნენ. თითეული გათიშულად თავის ცხოვრებით სცხოვრებდა და მასზედ გაბატონებული უცხო ძალის ზედმოქმედებით ეროვნულათ ძაბუნდებოდა და გვარდებოდა.

დღეს მართალია მკრთალად, მაგრამ მაინც ერთდროულად, საქართველოს ნაწილების შემოკრება დაიწყო. სხეულის გათიშული ნაწილები ერთმანეთს სძებნიან და ერთმანეთს ეღუწებიან-ეხორცებიან. და ამ ახალ ხანაში, თუ აფხაზეთიდან ვერ დაიწყება და ვერ მოხდება საქართველოს გაერთიანება, სანუგეშოდ და საისედოთ ის უნდა ვიქონიოთ რომ აფხაზეთი, უკვე საკმაოდ გამოცდილი განვლილი უბედურებით, ხაფანგში არ გაებმევა და თავისი შეგნებული შვილების სახით ამ შეერთების ერთი მტკიცე და შეგნებული აგენტი იქნება. საქართველოს დახსნილი ნაწილების ხელახალი შედუღებით უნდა მოხდეს საქართველოს ძლიერების აღდგენა და აფხაზეთი თავის თვალსაჩინო წვლილს შეიტანენ ან ეროვნულ აღორძინების დიდს საქმეში. ცხადია, თაოსნობა და პირველი როლი ეხლა წილად ერგება საქრისტიანო საქართველოს, როგორც შედარებით უფრო ადვილად კრიზისგადატანილსა და უფრო ნაკლებ დაზიანებულს ეროვნულ - კულტურული შეგნების მხრივ. ამიტომ დაუცდელად პირველი ჩვენ უნდა მივიდეთ ჟამთა უკუღმართობით ჩამოშორებულ ძმებთან და თითეულში შევიტანოთ საჭირო შეგნება და დავაჩქაროთ შეერთება-შედუღების პროცესი, რათა კვლავინდებურად ძლიერი და მორჭმული აღვსდგეთ. ჩვენ პირველი უნდა მივიდეთ აფხაზებთანაც და ხელი გაუწოდოთ საერთო აღდგომისათვის. გვწამდეს, რომ ძველებური ძმობა და ერთობა გაიღვიძებს და ერთმანეთისთვის ძველებური თავდადება ახალი ძლიერების საძირკველი შეიქნება.

# მეფის ნაცვლის სიტყვა

მეფის ნაცვლის სიტყვა გვამცნებს, რომ მისი უმაღლესობა ღრმად დარწმუნებულია ერობის შემოღების საჭიროებაში კავკასიის სიმდიდრისა და მწარმოებელ ძალთა ასაყვავებლად, თვითმოქმედების საფუძველზედ.

თავის სიტყვაში მისი უმაღლესობა მეტ რწმენას გვინერგავს, რომ იგი უთუოდ თანაგრძნობით ეგებება ერობის შემოღებას ამიერ-კავკასიაში. საქმიანს სიტყვაში დიდმა მთავარმა, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ მკრელად, მკაფიოდ და ურყევის რწმენით, და თანაც ერთგვარის სასურველობის სახით, მოჰხაზა ის გზა, რომელსაც უნდა დასდგომოდა საერობო თათბირი თავის მუშაობაში.

მეფის სიტყვა ნამდვილი პროგრამაა. მან აშკარად ამცნო თავისი უმაღლესი ნება და იქნებ რუსეთის ცენტრალ მთავრობის ხელმწიფებისაც, თუ რაგვარ ძირითად საძირკველზედ უნდა აგებულიყო ამიერ-კავკასიის საერობო შენობა და მიუკიბავ-მოუკიბავად ეს მუშაობა პირდაპირ განსაზღვრულ კალაპოტში ჩააყენა. ეს კალაპოტი 1890 წლის დებულების პრინციპიული ფარგლებში უნდა გაიშალოს. იგი დებულება გამოსავალ წერტილად აღიარებული ჰყო.

მეფის ნაცვალი თავის სიტყვაში განაცხადებს ამ ძირითად ფორმაში აუცილებლად ისეთი ცვლილების შეტანის საჭიროებას, რომელსაც მოითხოვს ადგილობრივი ინტერესი და პირობები.

დიდი მთავარი ძალიან გამჭვირვალედ გვეუბნება თუ რამდენ სართულიან საერობო შენობას იწყებს იგი. განაცხადებს რა თავის აზრს, საერობო თვითმართველობის ფორმა მცხოვრებთაგან ბევრის გადახდის საშუალებას უნდა ეფარდებოდესო, ამით გვამცნებს რომ იგი აუცილებლად საჭიროზე მეტ საერობო ერთეულის გამრავლებას მხარს არ უჭერს; მაშასადამე, საგუბერნიო და სამაზრო ერთეულზედ [illegible] უბრალო თავის შეწუხება იქნება. ეს დღესავით ცხადია. სრულის დარწმუნებით, რომ მეფის ნაცვალი მიწვეულ წარმომადგენელთა უმრავლესობის აზრს სახელმძღვანელოდ გაიხდის საჭირო ცვლილების შესატანად. 1890 წლის საერობო დებულებაში, საერობო თათბირი ენერგიულ თანამშრომლობას გასწევს კავკასიის უმაღლეს მთავრობასთან ერთად დიდი ხნით სანუკვარ და საჭირო რეფორმის დასამკვიდრებლად ამიერ-კავკასიის ხალხთა საკეთილდღეოთ.

# პეტროგრადი

(საკუთარ კორესპოდენტის.)

„კახეთის საკრედიტო ამხანაგობათა კავშირი" პეტროგრადის წვრილი კრედიტის მთავარმა სამმართველომ არ დაამტკიცა. მიზეზი ის გახლავთ, რომ პეტროგრადის მთავარმა სამმართველომ კახეთის კავშირის დამფუძნებელი კრება, რომელიც მოჰხდა შარშან, 13 ქრისტეშობისთვეს, უკანონოდ სცნო და წინადადება მისცა წვრილ კრედიტის ინსპექციას ხელახლად მოიწვიოს კახეთის საკრედიტო ამხანაგობათა კრება. როგორც სჩანს მთავარ სამმართველოს შეუწყნარებია განსაჩივრება თელავის ოთხ ამხანაგობისა.

# დეპეშა

**ბათომი.** მოვისმინეთ თქვენი და გამომცემი ამხანაგობა „საქართველოს" წარმომადგენელთა წინადადება. გიგზავნით მხურვალე სალამს. ვუსურვებთ სრულ წარმატებას გაზეთ „საქართველოს" რედაქციას, რომელმაც ძლიერად ჩამორეკა სამშობლოს სიყვარულის ზარები და მხნედ ენერგიულად ემსახურება ერის უსაჭიროესს თანამედროვე ინტერესებს.

გრიგოლ ელიავა.

—

**ბათომი.** ბათომელმა ქართველობამ პირველსავე სხდომაზედ გამომცემი ამხანაგობა „საქართველოს" პაიები შეიძინა ექვსი ათასი მანეთისა. ხელის მოწერა გრძელდება.

მგალობლიშვილი.

# ახალი ამბავი

**კავკასიის საერობო თათბირში მოწვეულნი პირნი** 26 აპრილს შეიკრიბნენ სასახლეში დილის $11^1/_2$ საათზე. აქ სამხატვრო დარბაზში თათბირში მონაწილენი ჯგუფ ჯგუფად დაიყვნენ გუბერნიებისა და მიხედვით და შემდეგ გადავიდნენ ყვითელ დარბაზში. დარბაზის შესავალთან მათ მიეგება მათი უმაღლესობა მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, მეუღლით ანასტასია ნიკოლოზის ასულით. აქ ყველა სათითაოდ გაეცნენ მათ უმაღლესობას და შემდეგ ყველანი მიწვეულ იქმნენ „ტრაპეზის გასაყოფად". სუფრის შუა ადგილი დაიჭირეს მეფის ნაცვალმა დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ მეუღლით ანასტასია ნიკოლოზის ასულით დიდ მთავარ პეტრე ნიკოლოზის ძემ მეუღლით, მილიცა ნიკოლოზის ასულით და უმაღლესი ოჯახით და მეფის ნაცვლის ამალის წევრებმა. მათ უმაღლესობის პირდაპირ ადგილი დაიჭირეს თბილ. და ქუთ. თავად-აზნაურთა წარმომადგენლებმა შემდეგ კი წინასწარ დანიშნული ადგილები სხვა დანარჩენ მიწვეულ პირებმა. საუზმის დროს დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ წარმოსთქვა პირველი სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა. სადღეგრძელო დიდი ხნის „ურა"-თი ბ საერო ჰიმნით იყო შესრულებული, რომელიც სამჯერ გაიმეორა მეფის ნაცვლის რაზმის გუნდმა. თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა თ-დ კ. ნ. აფხაზმა ტრადიციულ ადათისა და მიხედვით „ალავერდით" სადღეგრძელოს მირთმევა სთხოვა იქ დამსწრეთ მათი უმაღლესობის მეფის ნაცვლის დიდ მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა და მათ უმაღლესობის მეუღლის ანასტასია ნიკოლოზის ასულისა. ამ სადღეგრძელოს პასუხათ მეფის ნაცვალმა დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ სადღეგრძელო წარმოსთქვა „ყველა იქ დამსწრეთა". საუზმის შემდეგ ყველა იქ დამსწრენი მიწვეულ იქმნენ მეორე დარბაზში ყავაზე. შემდეგ ყველა იქ დამსწრენი მეფის ნაცვლის ნებართვით სასახლის ბაღში გადაღებულ იქმნენ მათ უმაღლესობის მეფის ნაცვლის ერთად საერთო სურათში. ნაშუადღევის 1 საათზე მეფის ნაცვალი გამოეთხოვა სტუმართ და თათბირის [illegible]

**ერობის შემოღების** შესახებ ამიერ-კავკასიაში საგანგებო თათბირმა დაადგინა მიღებულ იქმნეს 1890 წლის დებულების ერობა. კრებამ საჭიროდ სცნო აერჩია ოთხი სექცია. პირველ სექციაში, რომელიც განიხილავს საერობო დაწესებულების ფორმას არჩეულ იქმნენ თავჯდომარედ თ-დ კ. ნ. აფხაზი თანაშემწედ ბ-ნი ტერენტიევი. მეორე სექციაში, რომელიც განიხილავს საკითხს ცენზის შესახებ თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა თ-დი დ. ო. ნიჟარაძე თანაშემწედ—თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი. მესამე სექციაში, რომელიც განიხილავს ერობის საფინანსო საკითხებს თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა თ-დი გ. მ. თუმანოვი, თანაშემწედ გ. დ. ჟურული, მეოთხე სექციაში, რომელიც განიხილავს ქალაქთა გამოყოფას ცალკე საერობო ერთეულად, თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ-ნი. თოფჩიბაშევი, თანაშემწედ ი. ირეცკოი. ამ უკანასკნელ სექციაში თავჯდომარედ დასახელებული ა. ი. ხატისოვი გაშავებულ იქმნა.

**შ. მღვიმელის ნაწარმოებთა** გამოცემის უფლების შეძენის შესახებ ოცხელის წიგნის მაღაზიამ აცნობა ქართულ კულტურის მოყვარე საზოგადოებას ქუთაისიდან, რომ იგი თანახმაა ეს უფლება გადასცს ამ საზოგადოებას. ამის გამო გამგეობამ დაადგინა მადლობა გამოეცხადოს ბ. ოცხელს და საგანგებო კაცი გაგზავნოს ქუთაისს ხელშეკრულობის დასაწერათ და შემდეგ ხელის მოწერა გამართოს შ. მღვიმელის ნაწარმოებთა გამოცემაზე.

**სეირნობა.** ბ. გუბერნატორმა ნება დართო ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობას 22 მაისს „ახალ კლუბის საზაფხულო ბაღში გამართოს სეირნობა თავის ქონებათა გასაძლიერებლად და 10 პროც. გადადებით დიდუბის ტაძრის გალავანში ძეგლის ასაგებად ომში მოკლულ ქართველ მეომართათვის.

**წერა-კითხვის** გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ 26 აპრილს დაამთავრა საზოგადოების შევსებულ და შესწორებულ წესდების განხილვა.

**მორიგი კრება.** დღეს, საღამოს 8 საათზე, ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მორიგი კრებაა დანიშნული.

**სამართალში მიცემა.** თბ. საოლქო სასამართლოს ბრალმდებელმა წარუდგინა სასამართლოს საქმის გამოძიება სათავად-აზნაურო გიმნაზიის ყოფილ ბუხგალტრის და საქმის მწარმოებლის დიმიტრი პეტრეს ძის ეპიტაშვილისა, რომელსაც ყალბი საბუთების შედგენა და ფულების გაფლანგვა ბრალდება. ბრალმდებელი მოითხოვს სამართალში მიიცეს ბ. ეპიტაშვილი.

**პოლიცია ტრაპიზონში.** გუშინ საღამოს მატარებლით ტრაპიზონში გაემგზავრნენ: ტრაპიზონის პოლიცმეისტრად დანიშნული ორაევსკი, 6 ბოქაული, თანაშემწეებით, 12 უბნის ზედამხედველი და 120 პოლიციელი

**სამკურნალო მცენარეულობანი.** მიწად მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა გამგეობა შეეკითხა თვის რწმუნებულს აცნობოს რა სახით მიიღონ მონაწილეობა ტყის უფროსებმა სამკურნებელ მცენარეულობათა შეგროვების კულტურაში.

**ტრაპიზონის** პოლიცმეისტრად დანიშნული რიბინსკიდან ბ. ოროლოვსკი თბილისში ჩამოვიდა და ამ დღეებში მიემგზავრება ტრაპიზონს.

**კურსები პროვინციაში.** მიწადმოქმედების მინისტრმა ნება დართო რუსეთის მეხილეთა საზოგადოების კავკასიის განყოფილებას ამ ზაფხულს მოაწყოს გორსა და ცხინვალში ხანმოკლე კურსები. გორში კურსების მსმენელთ შეასწავლიან საბრძოლველ საშუალებებს მოსავლის მტრებთან და მცენარეულობათა ავადმყოფობასთან, ხოლო ცხინვალში ხილეულობის გადარჩევას ჩაწყობასა და გახმობას.

**ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარ გამგეობას სთხოვს ბორჩალოს განყოფილება საზოგადოებისა, რომ ის შეეცადოს წერა კითხვის სკოლების დაარსებას სოფ. წერაქვსა და სიონში. სკოლის შენობების აგებას თვითვე სოფლელები კისრულობენ. განყოფილება ამასთანავე სთხოვს მთავარ გამგეობას, რომ მან მიიღოს ზომები, რათა ხსენებულ სოფლებში მღვდლებად და მედავითნებად ქართველები გააწესონ, რომ მათ სკოლებშიდაც შეეძლოთ სწავლება.

**შიოს დილა სახალხო სახლში.** 22 მაისს ქართ. კულტ. მოყვ. საზოგადოების თაოსნობით განმეორდება საბავშვო დილა შიო მღვიმელის პატივ-[illegible]

მე-17 საუკ. დაარსებული ახალციხის ქართველ კათოლიკეთა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ძველი არქივი, ამ ბოლო დროს, სომეხ-კათოლიკეთა მღვდელს ტერ-აბრამიანს თბილისში გადმოუტანია, განზრახულ სომეხ-კათოლიკეთა ეკლესიისთვის. ამ ძველ არქივში, რომელსაც ასე უფრთხილდებოდა ივ. გვარამაძე (ვინმე მესხი) ბევრი ძველი წიგნები და ცნობებია მოთავსებული. ახლა კი რა მოელის ამ არქივს ეს ადვილი წარმოსადგენია.

**ყვირილა.**

**შიოს დილა** ყვირილაში გაიმართება კვირას, 1 მაისს.

**ს. გურჯაანი.**

22 აპრილს დიდძალი ხალხი მოაწყდა ადგილობრივ ბანკს შაბიამნის მისაღებად. შენობა ვერ იტევდა მოსულთა ნახევარსაც, გულ გახეთქილმა სახლის პატრონმა გ. ბაღდასაროვმა აივანი არ ჩამოინგრესო, ერთ მათგანს შაქრო ბაცანაძეს თავი გადაუჩეხა, კარგია ხალხმა სიმშვიდე გამოიჩინა და უბედურება რამ არ მოხდა. თავ სისხლიანმა ბაცანაძემ მიმართა ადგილობრივ მოხელეთ, რომელსაც ყურადღება არ მიაქციეს.

**სადგ. ხაშური.**

ორშაბათს, 25 აპრილს სადგურ მიხაილოვზე გულის შემზარავი ამბავი დატრიალდა. სამგზავრო მატარებელს № 3 ზედ სადგურის წინ მოემწყვდა ქვეშ აქაური კონდუქტორის ბუხრაძის შვილი, ადგილობრივი რკინის გზის სასწავლებლის მოწაფე, რომელიც მატარებელმა შუაზე გაწყვიტა.

— ერთი კვირის წვიმების შემდეგ კარგი დარები დაიჭირა. მოსავალს ძლიერ კარგი პირი უჩანს.

— შაბათს 23 აპრილს, ხაშურის საზოგადოებამაც გადაუხადა 30 წლის იუბილე მსახიობ ქალს ქ. ელ. ჩერქეზიშვილისას, დადგეს „ხანუმა". ქ. ელ. ჩერქეზიშვილი შეუდარებელი იყო ხანუმას როლში შემდეგ მოულოცეს და მიართვეს საჩუქრები: ადგ. დრამატიულმა გამგეობამ და სცენის მოყვარეებმა; სავაჟო გიმნაზიის მასწავლებლებმა. ამავე გიმნაზიის მოწაფეებმა და საზოგ. წარმომადგენლებმა. შემდეგ ქვირფას სტუმარს გაუმართეს ვახშამი.

# ლაზები და ჩვენ

ვიცით, თუ რა არის ლაზისთანი და ვინ არიან ლაზები. საქართველოს ელემენტური ისტორიის სახელმძღვანელო ისევე მჭევრმეტყველურად ამტკიცებს ლაზებისა და დანარჩენ ქართველობის ეროვნულ ერთსხეულობას, რამდენადაც უდავოთ ჰყოფს ამავე ეროვნულ ერთი და იგივეობას აწინდელი მეგრული ენისა და აწინდელი ლაზური ენის სრული ერთნაირობა. ამის ცოდნა ყველა იმ ქართველს მაინც აქვს, რომელნიც ჩვენს ქვეყანას მესვეურობენ და საზოგადოებრივ აზრსა და მიდრეკილებას ჰქმნიან. ამ წრის ქართველობამ ისიც უწყის, რომ ლაზთა ქვეყანა საქართველოს დედასხეულს ჩამოჭრილი იყო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში და რომ ამის გამო იგი მიეცა დავიწყებასა და ეროვნულ გადაგვარებას.

კარგად უწყის მოწინავე ქართველობამ, რომ დღეს რუსის ჯარმა დაიჭირა აღმოსავლეთი ოსმალეთის მოზდილი ნაწილი და ამასთან ერთად თითქმის მთელი ლაზისთანიც და რომ ამ გარემოების წყალობით წარიშალა, ჯერჯერობით მაინც, ის სახელმწიფოებრივი ზღუდე, რომელიც ლაზისთანს დედა-საქართველოდან ჩამოჰკვეთდა. ყველა ეს ამბავი, არამც თუ მარტო რჩეულმა ქართველობამ, არამედ თითქმის მთელმა ქართველმა მასამაც იცის. მაშასადამე, გაგებისა და ცოდნა—იმფორმაციის მხრივ ყველაფერი გვაქვს, რაც აუცილებელია.

ეს მასალები და ეს ცოდნა სრულიად საკმარისი იყო რომ მომქმედმოწყურებულ ეროვნულ ენერგიას მიზანშეწონილი მიმართულება მისცემოდა, თუ რომ თვით ჩვენში იქნებოდა ეროვნული ძიების სულისკვეთება და მოქმედების ხალისი.

ადვილი სათქმელი როდია. ხუთას წლის აქეთ საქართველოს სრულიად დაკარგულს ღვიძლ ნაწილში, ასე თუ ისე, პირველად კარი შეიღო და იქ შესვლის საშუალება მოგვეცა. დიდი მოვლენაა, თუნდაც იმიტომ რომ ხუთი საუკუნე უნდა გველოდნა ამ კარის გაღებისათვის! ნუ თუ ამდენი საუკუნით დაშორებულ დედა-საქართველოს არაფერი სათქმელი არ უნდა ჰქონიყო თავის ღვიძლი შვილისთვის!? ნუ თუ ერთმანეთის გლოვა ცალ-ცალკედ, თავისთავად, საბედისწერო გამყოფი ზღუდის გაღმა-გამოღმა და ერთმანეთის [illegible] დაგუბებული სევდა-ნაღველი არ უნდა შეცვლილიყო, ამ იშვიათი შემთხვევის გამო, ამაფრენ ლხინად და ეროვნული სულის ზეიმად ერთმანეთისთვის არ უნდა მიეზიდნა დაშორებული ძმების გული ნუ თუ ერთმანეთის გასაზიარებელი არაფერი უნდა გვქონიყო, ნუ თუ ერთი ზრახვა, ერთი ფიქრი, ერთი და საერთო მომავალის შესახებ ჩვენში არ უნდა წარმოშობილიყო და აღძრულიყო?!

ერი, რომელიც აღდგომას ლამობს და საუკეთესო მომავლისათვის იბრძვის, როგორ არ უნდა ცდილიყო, ცისა და ქვეყნის დაბრკოლებაც რომ წინ გადაღობოდა, თავის დაკარგულ ძმასთან მისულიყო, გადაეცა თავისი იმედი და მწუხარება და გაეღვივნა მის არსებაში მიძინებული გრძნობა ეროვნული ვინაობისა?..

დედა-საქართველომ, რომელიც უფრო თავშეგნებული და თავმოსწრებულიცაა და რომელსაც დაკარგული ძმის მოვლა უნდა ეთავნა, სულის ვერც ერთი მაღალი თვისება ვერ გამოიჩინა?! მან ვერაფრით ვერ აღნიშნა ეს დიდი მომენტი,—ეროვნული ძიების გრძნობა ჩლუნგი აღმოაჩნდა.

ქართულმა პრესამ, რომელიც მდაბალ ხარისხის კინკლაობაში ლამის არის ჩაიხრჩეს კიდეც, დრო ვერ იშოვნა ლაზისთანსა და ლაზებს გულმხურვალედ შეჰკებებოდა და მიეძღვნა მთელი რიგი წერილები, რომ ქართველ საზოგადოებაში მოქმედებისა და ენტუზიაზმის ატმოსფერა დაეტრიალებინა! პრესას დიდი მომენტი გამოეპარა!! ამით ცხადი შეიქმნა რომ მას ერის საუკუნებრივი ტკივილები და ეროვნული ძიების სიმწვავე არ აწუხებდა, აღარ ჰდაგავდა! ერთი ორი წერილი მოსატანი არ არის, რადგან იგი არავითარ მიზანშეგნებულებას არ ამჟღავნებს.

ასევე ჩუმად და ყრუდ შეჰხვდა ქართველი საზოგადოება ამ საყურადღებო მოვლენას. არსად არავითარი თაოსნობა და თადარიგობა არ დაუჭერიათ იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთებულიყო დღეს ლაზისთანში. ვერც ქართულმა პრესამ და ვერც რომელიმე ქართულმა საზოგადოებამ ცალცალკედ თუ შეერთებულად იმდენი ვერ მოახერხა და ეროვნული საქმის იმდენი სიყვარული ვერ გამოიჩინა,

რომ ლაზისთანში ერთი-ორი ღირსეული პიროვნება გაეგზავნა იქაური ცხოვრების, ზნე-ჩვეულების, ტიპების, ნაშთების და სხვათა აღსაწერად, რათა სიტყვით და კალმით ქართველ საზოგადოების ფართე წრეებში გაეცხოველებინათ ამ ქართველების სახე და აღედგინათ საქართველოს ამ დაკარგული ნაწილის სურათი!! არავისაგან არავითარი ზომა არ არის მიღებული, არავისგან არავითარი ნაბიჯი არ არის გადადგმული, რათა საქართველოში შეიქმნას ძლიერი გრძნობა და იდეიური მიმდინარეობა ლაზისთანში შესაფერი მუშაობის გასაჩაღებლად! დიდმა ეროვნულმა პრობლემამ ამ იშვიათ ისტორიულ მომენტში ქართველი საზოგადოება ვერ აღძრა. სირცხვილი ჩვენ! მაგრამ ქვეყანას რა?—მარტოოდენ ვნება და ზარალი!

**ს. კედია.**

## აფხაზების დეპუტაცია

26 აპრილს, ნაშუადღევს 4 საათ. 45 წ., მეფის ნაცვალს, დიდს მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს, წარუდგა აფხაზების დეპუტაცია თავ. ალ. შერვაშიძის მეთაურობით. დეპუტაციაში იყვნენ, გარდა თავ. ალ. შერვაშიძისა, თავ. დ. მარშანია, თავ. ასტამურ ინალიპა, თავ. გ. შერვაშიძე, თავ. პ. ანჩაბაძე და გლეხები ანტონ ჩუკუბარი და ეზუხბაია. დეპუტაციამ სთხოვა მეფის ნაცვალს თავისი ყურადღება არ მოაკლოს აფხაზეთს, რომელიც ძალიან ჩამორჩენილია ამიერ-კავკასიის დანარჩენ კუთხეებს კულტურულად და ეკონომიურად. როგორც დეპუტაციამ აღნიშნა, აფხაზეთში საჭიროა გზების გაყვანა და სკოლების დაარსება, განსაკუთრებით სასოფლო მეურნეობის ტიპისა. აფხაზები ძალიან შეშფოთებული არიან, რომ არ განხორციელდეს გავრცელებული ხმები შესახებ იმისა, რომ განზრახულია აფხაზეთის ეპარქია გამოჰყონ საქართველოს საექსარხოსოდანაო. აგრეთვე აფხაზებს ისიც აწუხებს, რომ განზრახულია სოხუმის ოლქი ჩამოშორდეს ქუთაისის, გუბერნიას, რათა შავი ზღვის გუბერნიას შეუერთონ. დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ მოწყალედ მიიღო დეპუტაცია, ყურადღებით მოუსმინა თხოვნა და აღუთქვა, თქვენს შუამდგომლობას მხედველობაში ვიქონიებ და ვეცდები იმის დაკმაყოფილებასო.

## უპურობა თბილისში

27 აპრილს, არც ერთი თორნე არ მუშაობდა. მეთორნეებს არც ფქვილი წაუღიათ არც ქართველ მეპურეთა და „რაჭის" ამხანაგობათა საწყობებიდან და არც რატიანისაგან. მეფურნეები მუშაობდნენ, მაგრამ ვერ ასდიოდნენ ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. პური ძალზე უმცხვარი იყო და ნიხრი ხშირად ირღვევოდა. ამასთანავე პოლიციის განკარგულებით თითო კაცს მხოლოდ ორი შაურის პური ეძლეოდა. 26 აპრილს მეთორნეების უსტაბაში ბ-ნი ისაკაძე პოლიცმეისტერმა დაიბარა და საყვედური გამოუცხადა.

როგორც ვიცით, თბილისში ყოველ დღე საჭიროა 16 ვაგონამდე ფქვილი ცხვებოდეს. თბილისში 250 თორნეა, რომლებშიაც 4 ვაგონამდე ფქვილი ცხვება, ე. ი. ერთი მეოთხედი მთელი მოთხოვნილებისა. ამიტომ მეთორნეებმა თუ დროზე არ განაახლეს მუშაობა, ხალხი დიდს გასაჭირში ჩავარდება. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, არც მეფურნეებს და არც მეთორნეებს ვაგონების „ნარიადი" აღარ მისცეს. ამათ გამგეობისაგან უნდა უნდა აიღონ საჭირო ფქვილი.

გუშინ, 27 აპრილს, ბ-ნ გუბერნატორის განკარგულებით პოლიცმეისტერმა დაიბარა თითო საპოლიციო უბნიდან 4 მეთორნე და დიდხანს ელაპარაკა პურის გამოუცხობლობის მიზეზის შესახებ. მეთორნეებმა ისევ შესჩივლეს ბ-ნ პოლიცმეისტერს, რომ 1 ტომარა ფქვილს 18 მანეთამდე აფასებს ქალაქის გამგეობა და ჩვენ კი ნიხრის მიხედვით 15 მანეთად ვყიდითო და ასეთი ზარალით ვის შეუძლიან მუშაობაო. პოლიცმეისტერმა, როგორც ერთ-ერთ დელეგატმა გადმოგვცა, ძალიან იძვირა ფქვილის ფასი და განაცხადა, რომ 1 ტომარა ფქვილი თოთხმეტ მანეთ ნახევარზე მეტად არ უნდა იყიდებოდესო. მეთორნეებმა უპასუხეს, რომ მზადა ვართ 15 მანეთიც გავიღოთო. პოლიცმეისტერმა მეთორნეები დაითხოვა. ეხლა საქმე იმ მდგომარეობაშია, რომ ან გამომცხვარი პურის ფასს უნდა მოემატოს და ან ფქვილი გაიაფდეს. ეს საჭირბოროტო საკითხი გუშინ ღამით თუ არ გადაწყდა, დღეს უთუოდ უნდა გადაწყდეს.

## გაზ. „საქართველოს"-ს კანტორა მოაგონებს წლიურ ხელის მომწერთ, რომ ხვედრი ფულის შემოტანის ვადა არის პირველი მაისი

# საერობო თათბირი

მეფის ნაცვლის სასახლის დიდებული სადარბაზო ოთახი, საღამოს 9 საათზე უკვე სავსე იყო საერობო თათბირზედ მოწვეულ წარმომადგენლებით. აქ ნახავდით ამიერ-კავკასიის ყველა კუთხიდან ჩამოსულ ცოტათ თუ ბევრად ცნობილ მოღვაწეს. აგერ, შესავალ კარებში, მხნე და დაუღალავი ბ. ტოფჩიბაშევი. მის გარშემო თავი მოუყრია რამდენიმე პირს და იგიც დინჯათ დალაგებით ერობის მთავარ მუხლების თაობაზე თავის შეხედულობას უმტკიცებს. იქვე ცოტა მოშორებით ბ. ჟურული, ივანე ზურაბიშვილი, მიხეილ მაჩაბელი, შუაგულ ადგილას თავ. აფხაზი, გენ. ყაზბეგი, გოთუა, თუმანიშვილი, თავდგირიძე, კიტა აბაშიძე და მრავალი სხვანი. კარგა მოშორებით ბ. ხატისოვი, დოლუხანოვი, ტერ მიქელიანცი, არუთინოვი და სხვანი. პრეზიდიუმის მაგიდასთან დარაზმულად სდგანან სხვა და სხვა დაწესებულების მოხელენი. ყველა მეფის ნაცვლის გამოსვლის მოლოდინშია. დრო იწურება, დანიშნულ ვადას გადასცდა. ყველას ყურადღება მიპყრობილია იმ კარებისაკენ, საიდანაც უნდა გამობრძანდეს დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

საუცხოვო სანახავია სადარბაზო ოთახი. მაღალი და ფართე ძველი ამპირის სტილით მოცული. მის კუთხეებს დიადი გემოვნებით ამშვენებენ კედელზედ გამოყვანილი კოლონები. აკუსტიკა დარბაზში ისეთი სიმტკიცით არის დაცული, რომ არც ერთი სიტყვა არ იკარგება.

ათის ნახევარი იქნებოდა, როდესაც მეფის ნაცვალი გამობრძანდა სადარბაზო ოთახში და შემდეგი სიტყვით მიესალმა საერობო თათბირზედ მოწვეულ პირებს.

**მეფის ნაცვლის სიტყვა**

ბატონებო, უპირველესად ყოვლისა გულწრფელად მოგესალმებით.

შევუდექ რა მეფის ნაცვლის მოვალეობის აღსრულებას და გავეცან-რა ადგილობრივ უმთავრეს პირობებს, იმ დასკვნამდე მივედ, რომ შემოქმედ ძალის ასამაღლებლად, რუსეთის ამ ერთად ერთ უმდიდრეს ნაწილში, საჭიროა განვითარდეს მის მცხოვრებთა თვითმოქმედება, რათა აღფრთოვანებულ შრომას შემოქმედება შეჰქონდეს ადგილობრივ ცხოვრების ყველა დარგში.

მეფის ნაცვლის სამმართველოში უკვე მზად არის აუარებელი მასალა კავკასიაში ერობის შემოსაღებად, მაგრამ სათანადო კანონპროექტის დაუყოვნებლივ დასამუშავებლად საჭიროდ დავინახე საშუალება მოგცეთ მკვიდრ მცხოვრებთ შეგროვილი მასალა შეავსოთ თქვენის გამოცდილებით და დაკვირვებით.

კავკასიის სხვა და სხვა კუთხის მრავალფეროვნება მეურნეობის პირობებისა და ეროვნების სხვადასხვაობა ჩემ მიერ განზრახულ საკითხს მეტად ართულებს. კანონპროექტი ერობის რეფორმისა უნდა იქმნეს ცხოვრებასთან შეგუებული და არა თეორეტიულად განსაზღვრული.

თქვენზეა, ბატონებო, დამოკიდებული ამ საკითხის გაადვილება. თქვენ, ადგილობრივო მოღვაწენო, პრაქტიკის და ცხოვრების ხალხო, თქვენმა მსჯელობამ მოგვცეს მასალა, რაიც გააშუქებს ამ კუთხის მცხოვრებთა ნამდვილ მოთხოვნილებას.

თქვენ არ შეგიძლიანთ ეჭვი შეგეპაროთ, რომ მე თანავუგრძნობ კავკასიაში ერობის შემოღებას. ამის დამადასტურებელია თქვენი მოწვევა საკითხის გამოსარკვევად.

არ შეიძლება სხვა და სხვა შეხედულობა არსებობდეს დღევანდელ საკითხის შესახებ.

ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ უცბად ბევრის მიღება ხშირად არაფრის მიღებით გვირგვინდება, ამიტომ უფრო სამართლიანად მიმაჩნია ამ ჟამად ერობას საძირკველი ჩაუყაროთ შეძლებისდაგვარად იმ ფორმებში, როგორც ეს რუსეთის შიდა გუბერნიებში ჩამოყალიბდა.

რასაკვირველია ადგილობრივი განსხვავების მიხედვით საჭირო იქმნება რეფორმაში შესაფერი ცვლილება შევიტანოთ, შემდეგ კი დრო თვით გვიჩვენებს რა უნდა დაემატოს ერობის დაწესებულებათ და მაშინ ნაკლებ შეცდომებით შეიძლება ნამდვილი საჭირო ცვლილება იქმნეს შეტანილი.

უმეტესად საჭიროა ვიზრუნოთ იმაზე, რომ განზრახულ ერობის რეფორმა ანგარიშს უწევდეს მცხოვრებთა ძალას გადასახადის შესახებ, წინააღმდეგ შეიძლება ისეთ მდგომარეობაში ჩავაყენოთ მცხოვრებნი, რომ სამწუხარო შედეგი მივიღოთ.

მომავალი ერობისაგან კერძოდ მე კავკასიისთვის ბევრ რამეს მოველი. მთავრობისა და ერობის წარმომადგენელთა შეთანხმებულ შრომით შეიძლება ახლო მომავალში აღსრულებულ იქმნას შემომქმედი მუშაობა საუცხოვო კავკასიის ცხოვრების განსავითარებლად. იმ კავკასიისა, რომლის წიაღშიაც ჩამარხულია მრავალი სიმდიდრე, რომელიც ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ ჯერ ნაკლებად გამოგვიყენებია.

უნდა გვწამდეს, ბატონებო, რომ საერობო მუშაობაში ჩაბმა ხელს შეუწყობს ცხოვრების მყუდრო კალაპოტში ჩაყენებას და დაიფარავს მხარეს აღელვებისა და უწესოებისაგან.

არის კიდევ ერთი მოსაზრება, რაზედაც თქვენი ყურადღება უნდა მივაქციო. სამწუხაროდ არც ერთს ჩვენთაგანს არ შეუძლიან უარჰყოს ეროვნული შუღლი, რომელმაც წარსულში ამ მხარეს დიდი ზარალი მიაყენა და ჩვენ რასაკვირველია, დიდად მოხარულნი ვიქნებით რომ ეს ერთა უთანხმოება აღმოიფხვრას.

ჩემის ღრმა რწმენით, ერთმანეთთან მუშაობა ერობაში საუკეთესო იარაღია ამ მიზნის მისაღწევად. დაე ჯერ ნორჩი კავკასიის ერობა ნუ კი გაგვითიშავს მრავალ სხვა და სხვა კავკასიის ერებს, არამედ მან შეგვაერთოს საერთო ინტერესის ნიადაგზე.

შეიძლება მიპასუხონ, რომ ჩემ მიერ დასახული მიზანი ცხოვრებაში ძნელი განსახორციელებელი იყოს, მაგრამ მე დარწმუნებით ვუპასუხებ: დიახ, თუ კი კეთილი სურვილი არ გვექნება, მაგრამ თუ გულწრფელობას გამოვიჩენთ ეს მიზანი მიღწეულ იქნება. განსაკუთრებით მაშინ, თუ ყველანი ირწმუნებენ, რომ ამ მხარის მთავრობის დამოკიდებულება კავკასიის ერებისადმი გამსჭვალულია ერთნაირის მიუკერძოებლობით და სამართლიანობით.

მაშ ასე, ბატონებო, თქვენ ვალად გაძევთ თვალსაჩინო შრომა თქვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

სასურველი იყო მეფიქრა, ჩვენ გამსჭვალულნი ვართ ერთნაირის რწმენით, რომ კავკასიისთვის საჭიროა ერობა, მაგრამ ერობა არა ერობისთვის, არამედ ხალხის საკეთილდღეოდ.

ჩემი გულითადი სურვილია თქვენი შრომის დასკვნით გამორკვეულ იქმნას განსხვავება თქვენსა და ამ კუთხის უმაღლეს მთავრობის შეხედულების შორის განზრახულ ერობის რეფორმის შესახებ.

ამ საქმეში შეხედულებათა უდიდესი მახლობლობა თავდები იქნება შეთანხმებით მუშაობისა ამ კუთხის საკეთილდღეოდ.

უკეთუ თქვენ ცხოვრებისთვის გამოსაყენ მასალას მოიცემით ერობის მოსაგვარებლად, არა თუ მარტო მე ვიქნები მადლობელი, არამედ მთელი კუთხე გულწრფელად მოიგონებს თქვენს შრომას.

ღმერთსა ვთხოვ შეელას, თქვენი შრომის დაგვირგვინებას და მოვუწოდებ კრებას საქმეს შეუდგეს.

**თავ. აფხაზი** მიესალმა მეფის ნაცვლის შემდეგი სიტყვით:

სიხარულის გრძნობით აღელვებულნი მოვესალმებით თქვენს აქ ყოფნას, კავკასიის უძველეს ხალხთა წარმომადგენელთა შორის. აგერ, ჩვენის სახით თქვენ შემოგყურებსთ ორი ათასი წლის შეგნებული ისტორიული სიცოცხლე. მათი შთამომავალნი აწ წარმოვდგენილვართ თქვენს წინაშე და ურღმესი რწმენით და იმედით შემოგყურებთ ჩვენი მხრის უავგუსტოეს მმართველს, რომელმაც თავს იდეთ უდიდესი ზრუნვა ქვეყნისა, უდიდესი ზრუნვა ჩვენი საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგებისა თვით ომის დაწყების დღიდანვე.

თქვენმა იმპერატორობითი უმაღლესობამ არა თუ მოიწონეს რუსეთის ერთა შეერთებული მოქმედება ერობათა და ქალაქთა კავშირების სახით, არამედ შთაუნერგეთ კიდეც ის გმირული თავგანწირული სიყვარული მუშაობისა, რომლის მოწამეც არის სასახელოვანი და დიდებული არმია რუსეთის იმპერიისა.

იმავე დროს სასწაულმოქმედებრივი სახით გამობმულ იქმნა უხილავი ძაფები უძვირფასესი საკაცობრიო გრძნობებისა, სიყვარულისა და თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობის სათნო პატივისცემისა; რაიც ჯადოსნურ სახით გადაბმულ იქმნა თქვენი გულის ძაფებით მთელს რუსეთთან ერთად.

კავკასიაში მობრძანების უმალ, როგორც თქვენს საგამგებლო ქვეყანაში, თქვენ განსჭვრიტეთ ძალა და მნიშვნელობა საზოგადოებრივ დაწესებულებათა დღევანდელ დღისთვის, განსჭვრიტეთ აგრეთვე, რომ ერობათა დაწესებულების სწრაფი შემოღება გააორკეცებს ჩვენს სულიერს და ნივთიერს საშუალებათ ჩვენი სახელმწიფოს დასაცველად, ამიტომაც ბრძანეთ თქვენ დაუყოვნებლივ შემუშავებულიყო კავკასიაში ერობის დაწესებულებათა საკითხი. აქტი, რაიც შესრულებულ იქმნა თქვენ მიერ, თანასწორია ისტორიული აქტისა გლეხთა ბატონყმობისაგან განთავისუფლების შესახებ. უაღრესად გაბედნიერებულად ვგრძნობთ თავს თქვენთან ერთად რომ შევუდგებით შემოქმედებითი მუშაობას.

მაშ ნება მოგვეცით, თქვენო იმპერატორობითო უმაღლესობავ, მოგთავაზოთ ჩვენი უქვეშევრდომილესი სურვილები: მოგცეთ უფალმა ღმერთმა ძალა, აკურთხოს წმიდანი საქმენი თქვენი დიდი ხელმწიფის სასიხარულოდ და თქვენდა რწმუნებულ კავკასიის საბედნიეროდ.

აბხაზის შემდეგ ქალაქების თვითმართველობის სახელით სიტყვით მიჰმართა **ბ. ხატისოვმა.**

ამის შემდეგ კრებას ხსნის თვით მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

**დიდი მთავარი.** ბ-ბო, შრომის გასაადვილებლად საჭიროა სექციებათ დაყოფა. ამიტომ პირველი საკითხი, რომელიც კრებამ უნდა განიხილოს, არის შემდეგი: რამდენი სექცია იქნება საჭირო და რა და რა კითხვები უნდა იქმნეს შეტანილი ამა თუ იმ სექციაში. ჩემს მოადგილეთ ვნიშნავ ჩემს თანაშემწეს თავ. ორლოვს, რომელიც მუშაობას ბოლომდე გაუძღვება.

მეფის ნაცვალი დარბაზს სტოვებს, ვაშას ძახილია.

**თავ. ორლოვი.** დიდმა თავადმა კეთილი ინება და თვის მოადგილეთ დამნიშნა მე; ბ-ბო, თუ სამსახურის გამო მომიხდება თბილისიდან სხვა და სხვა კუთხისკენ გამგზავრება, ჩემს მოადგილობას გასწევს **ბ. ალიშევსკი.**

**თავ. აფხაზი.** იმ პროგრამაში, რომელიც ჩვენ დაგვირიგეს არის მრავალი ისეთი კითხვები რომელიც აუცილებლივ უნდა პირველად განხილულ იქმნეს საერთო კრებაზე. მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც შემუშავებული იქნება სახელმძღვანელო დებულებანი, უნდა დავიყვნეთ სექციებად. ჩემის აზრით ჩვენი მუშაობის დროს უსათუოდ უნდა ვემყარებოდეთ იმ ერობას, რომელიც ახლა არსებობს რუსეთში და რომელიც შემოღებულ იქმნა 1890 წელს. აუცილებლივ საჭიროა ჩვენთვის ერობა და რაც კი შეიძლება მალე. მგონი ყველა ჩვენგანი გრძნობს კიდეც ამას. აი ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა ისეთი ერობის პროექტი შევიმუშაოთ, რომლის განხორციელებას მრავალი დაბრკოლებანი არ გადაეღობებიან. ყველამ კარგად ვიცით, თუ რამდენი ინსტანცია აქვს გასავლელი ერობის პროექტს. თუ ჩვენ ჩვენი პროექტი არ შეუფარდეთ უკვე არსებულს, და ახალს სრულად ყველასთვის უცნობს ერობის პროექტს წარუდგენთ, ცხადია რომელიმე ინსტანციაში მაინც მოითხოვენ უფრო მეტის მასალის მოწოდებას, ამა თუ იმ საკითხის გამორკვევას მეტს წინააღმდეგობას გაუწევენ და ერობა დასამარებული აქნება. ამასთანავე უნდა მოგაგონოთ, რომ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა რწმუნებულება თავდება 1917 წელს. თუ ჩვენ ამ დრომდე არ მოვახერხეთ, რომ ერობა სათათბიროში განხილულ იქმნას, მაშინ ადვილი შესაძლებელია ახალ სათათბიროში ბევრი ახალი დამაბრკოლებელი მიზეზი გამოუჩნდება და ერობა ჩვენში ისევ პროექტად დარჩება.

**ორეცკოი.** თქვენო ბრწყინვალებავ, აქ დასმული იყო ის საკითხი, თუ რამდენ სექციათ უნდა დავიყვნეთ. თავ. აბხაზი კი ცდილობს იმის განმარტებას, თუ რამდენად ხელსაყრელი იქნება ჩვენთვის, თუ მუშაობის დროს ვიხელმძღვანელებთ 1890 წლის ერობის ძირითად მუხლებით.

**თავ. აფხაზი.** მე ვამტკიცებდი, რომ მთელი რიგი კითხვებისა ჯერ საერთო კრებაზედ უნდა განვიხილოთ. მხოლოდ შემდეგ კი საჭირო იქნება სექციებად დაყოფა.

**ვერმიშევი.** მართალია, სანამ სექციებად დავიყოფოდეთ, ზოგიერთი კითხვები საერთოდ უნდა განვიხილოთ.

**არუთინოვი.** ჩემის აზრით საჭირო იქნება ოთხი სექცია. (ორატორი მოახსენებს კრებას თუ რადა რა მუხლები უნდა იქმნეს შეტანილი სექციებში).

**ი. ზურაბიშვილი.** მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც გამორკვეული იქნება საერთო დირექტივები უნდა დავიყვეთ სექციებათ. საზოგადოთ ერობა აშენებულია სამ ძირითად დებულებაზედ. ამ გვარადვე საჭიროა ჩვენთვის სამი სექცია. პირველი სექცია განიხილავს იმ საკითხს, თუ რა ტიპის ერობაა ჩვენთვის საჭირო; მეორე— ცენზს და მესამე—ერობის ფინანსებს.

**ტოფჩიბაშევი.** სანამ სექციებად დავიყოფოდეთ, აუცილებლივ საჭიროა, გამოვარკვიოთ ის მთავარი დებულებანი, რომელნიც საძირკვლად უნდა დაედოს მომავალ ერობას. წარმოუდგენელიც არის უამისოდ სექციებში მუშაობა. არც ნაყოფიერი იქნება ეს მუშაობა, თუ ჩვენ ყველას არ გვექნება წინდაწინვე გარკვეული საერთო მთავარი მუხლები. სრულიად ვეთანხმები თავ. აბხაზს. თუ ჩვენ მივიღებთ 1890 წლის ერობას, მაშინ სექციებშიაც უეჭველია ამ ერობით იხელმძღვანელებენ და მუშაობაც გაადვილდება.

**თავმჯდ. თავ. ორლოვი.** დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ თავის სიტყვაში უკვე აღნიშნა, რომ მუშაობის დროს წარმომადგენლები უნდა ემყარებოდნენ უკვე რუსეთში არსებულ ერობაზედ, ე. ი. 1890 წლის ერობას. მაშასადამე სექციებშიაც უეჭველია ამით უნდა იხელმძღვანელონ.

**პ. გოთუა.** სექციებში მუშაობა—ეს გარკვეულად და დაწვრილებით დამუშავების შრომაა. თუ ჩვენ ახლავე მივიღებთ 1890 წლის ერობას, ცხადია ჩვენი შრომაც სექციებში იქნება უფრო ნაყოფიერი და სისტემატიური.

**ორეცკოი.** ვეთანხმები ბ. ტოპჩიბაშევს და მასთანავე გთხოვთ დასვათ განსახილველად შემდეგი საკითხი: საჭიროა თუ არა ვიხელმძღვანელოთ 1890 წლის ერობით.

**თავმჯდ. თავ. ორლოვი.** ბ-ნებო, ჩვენ არაფერში არ შეგზღუდავთ. დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გთხოვთ, ყველამ თავისუფლად და გულახდილად გამოსთქვას თავისი აზრი. თუ გნებავთ მე დავსვამ საკითხს: საჭიროა თუ არა კრებამ იხელმძღვანელოს 1890 წლის ერობით.

**ორეცკოი.** მე გთხოვთ, სანამ კენჭს უყრიდეთ, ეს საკითხი განვიხილოთ.

**თავმჯდ. თავ. ორლოვი.** კეთილი გთხოვთ, ბ-ნო ორატორებო, გამოსთქვათ თქვენი აზრი.

**ხატისოვი.** დიდმა მთავარმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ კავკასიას მრავალი თავისებურება აქვს და ერობაც ამ თავისებურებასთან ერთგვარად უნდა შეფარდებული იყოს. ჩვენ მოგვიწვიეს აქ რომ გამოვარკვიოთ, თუ რაში მდგომარეობს ეს თავისებურება. განა შესაძლებელია ჩვენი მოვალეობის პირნათლად ასრულება თუ ჩვენ 1890 წლის ერობა მივიღებთ. მე მგონია, რომ არა. ჩემის აზრით უპირველესად საჭიროა გამოირკვეს, თუ როგორი ერობა შეეფერება ჩვენს ცხოვრებას და მდგომარეობას. მართალია ჩვენთვის ერობა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, მართალია ისიც, რომ ერობა რაც კი შეიძლება ჩქარა უნდა განხორციელდეს, მაგრამ ამ სიჩქარეს კავშირი უნდა ჰქონდეს დაფიქრებასთან. თვით რედაქცია 1 მუხლისა ნათლად ჰმოწმობს, რომ საჭიროა გამოირკვეს შესაფერისი ფორმა კავკასიის ერობისა. ჩვენ სწორედ ამისათვისაც მოგვიწვია მეფის ნაცვალმა. 1890 წლის ერობის მიღება თვით მეფის ნაცვლის საბჭოსაც შეეძლო მიეღო, შეეტანა ცოტაოდენი შესწორებანი და ისე წარედგინა საკანონმდებლო დაწესებულებებში.

**ვართანოვი.** 1890 წლის ერობა ვერ არჩენს და ვერც მოარჩენს ყველა ჩვენ წყლულებს. მეფის ნაცვალმა თვითონ აღნიშნა ის ეროვნული უთანხმოება, რომელიც ხელს გვიშლის საერთო მუშაობაში. ეროვნული უთანხმოება მაშინ მოისპობა, როდესაც სრულებით მოისპობა წოდებრივი წარმომადგენლობა ერობაში (ისმის ჩოჩქოლი). ზოგიერთ გუბერნიაში არ არსებობს წოდება, 1890 წლის ერობა სწორედ იმაზედ არის აგებული; მაშასადამე როგორ უნდა შევიტანოდ ეს ერობა ამ ადგილებში. ორმოცდა ათი წლის ერობის დღესასწაულმა არ გამოიწვია ხალხში სიხარული, სწორედ იმიტომ რომ ამ ერობას არავითარი კავშირი არა აქვს ხალხთან. საშინელი მაღალი ცენზი სრულიად გარეშე სტოვებს მშრომელ გლეხკაცობას. 1890 წლ. ერობაში დიდი ცენზია დადებული. განა შეიძლება ამ ერობის მიღება?

**ჟურული.** შეუძლებელია ყოველთვის, როდესაც კი ჩვენ ერობის გამო მოგვიწვევენ ლაპარაკი ყველაფერი თავიდან დავიწყოთ. დიდმა მთავარმა გადასწყვიტა ეს საკითხი ერთხელ და საშუდამოდ გადასჭრას და ჩვენში ერობა განამტკიცოს. მე სრულებით ბავშვი ვიყავი, როდესაც პირველად შევიტყე ერობის შემოღების განზრახვა, ახლა აი, უკვე მოხუცებული ვარ და ისევე ერობის შემოღებაზე ვმსჯელობთ. რამდენჯერ აღძრულა ეს საკითხი ვინ მოსთვლის. განა საჭიროა იმისი მტკიცება, რომ უთუოდ უნდა იყოს გარკვეული საერთო მთავარი დებულებანი, რომლითაც ყველამ უნდა ვიხელმძღვანელოთ? უამისოდ შეუძლებელიც არის მუშაობა სექციებში.

**მ. მაჩაბელი.** მეფის ნაცვლის სიტყვებში პირდაპირ სჩანს, რომ ჩვენ აქ ვსხედვართ არა იმიტომ, რომ ეხლა გამოვჭრათ და შევკეროთ ერობა. 1890 წლის ერობის მიღება სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არავითარ ცვლილებას არ შევიტანთ. თვით ეს ერობა რუსეთში სხვა და სხვა ადგილას სხვანაირია. მაგალითად ცენზი განიზომება 25 დეს. 800-სამდე. იალტაში მიღებული 25 დესეტ—სხვაგან უფრო მეტი. ასეთივე ცვლილებას ჩვენც ადვილად შევიტანთ. თუ ჩვენ ახალ ერობას შევიმუშავებთ, დარწმუნებული ვარ, ვერც მე და ვერც ჟურული, ვერ ვეღირსებით ამ ერობის განხორციელებას. ბ-ნო, შევიმუშაოთ ისეთი პროექტი 1890 წლის ერობის მიხედვით, რომ იქ, საკანონმდებლოში არავინ გააოცოს. მოგვეცით ის, რაც თქვენა გაქვთ. შესწორებასა და გაუმჯობესებას შემდეგაც მოვესწრებით. რაც შეეხება სექციებათ დაყოფას, უეჭველია ჯერ მთავარი დებულებანი უნდა მივიღოთ და შემდეგ სექციებში გადვიდეთ სამუშაოთ.

**დოლუხანოვი.** ჩვენ აქ მოწვეული ვართ, რომ გადმოგცეთ გულწრფელად ჩვენი ცოდნის და დაკვირვების მიხედვით, თუ რაგვარ საჭირ-ბოროტო საკითხებს უნდა მიექცეს ყურადღება. თუ ჩვენ 1890 წლის ერობას მივიღებთ, ცხადია ამ ერთად-ერთ ჩვენს დანიშნულებას უნდა გამოვეთხოვოთ. პირადათ მე სრულებით შეუძლებლათ მიმაჩნია მუშაობა.

**თავმჯდ. თ. ორლოვი.** მართალია, თქვენი მოვალეობა, ყველაფერი გულწრფელად გამოსთქვათ.

**ისტომინი.** პირადათ მე თავ. აფხაზის წინადადება ისე გავიგე, რომ ამა თუ იმ საკითხის გარკვევის დროს ჩვენ სახეში უნდა ვიქონიოთ ძირითადი დებულებანი 1980 წლის ერობისა. ეს კი იმას არ ნიშნავს, რომ არავითარი ან ცვლილების შეტანა ან და ადგილობრივ თავისებურების გარკვევა არ შეიძლებოდეს. ჩემს ხელთ არის ორი დიდი არგუმენტი, რომლის მოხსენებაც საჭიროდ მიმაჩნია. გეხსომებათ, რომ სახელმწიფო სათათბიროში 72 დეპუტატის ხელ მოწერილი კანონპროექტი კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ იყო წარდგენილი. პირველად ხელს აწერდა პაპაჯანოვი და სხვა კავკასიის დეპუტატები. უკანასკნელი მოითხოვდნენ, რომ შემოღებული იქმნას კავკასიაში სწორედ ის ერობა, რასაკვირველია ზოგადი შესწორებით, რომელიც ახლა რუსეთში არსებობს. მაშასადამე თვით დეპუტატებიც შესაძლებლათ სცნობდნენ ამ ერობის განხორციელებას ჩვენში.

გარდა ამისა თვით ცნობილი მცოდნე ერობისა თავ. გ. თუმანოვი თავის წიგნში ერობის მთავარ დებულებებს ისევე 1890 წლის ერობიდან იღებს. მაშასადამე, სრულებით გაუგებარია, რატომ ახლა აღარ შეიძლება ამ 1890 წლის ერობით ხელმძღვანელობა, თუ კი ისეთი პირები, როგორიც არიან ჩვენი დეპუტატები, ამას თვითონვე მოითხოვდნენ.

თუ ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი მუშაობა ნაყოფიერი იყოს, აუცილებლივ უნდა მივიღოთ 1890 წლის ერობა.

**ანისიმოვი.** ჩემთვის გაუგებარია, რათ უნდა შეუკრათ ხელფეხი ყველას. დეე თვით სექციებმა განიხილონ, რომელი ერობის დებულებანი უფრო ხელსაყრელი იქნება ჩვენთვის რომ მივიღოთ.

**ნ. თავდგირიძე.** დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, დარწმუნებული ვარ, წინდაწინვე მოისაზრებდა თუ როგორი ერობაა ჩვენთვის საჭი-

რო. მას გადაწყვეტილი აქვს შემოიღოს ჩვენში ერობა და ეს მოხდება კიდეც. მართალია 1890 წლის ერობას ბევრი ნაკლულევანება აქვს, მაგრამ განა ეს ნებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ არ გვინდა ერობაო. ახლანდელი ქალაქის თვითმართველობასაც აქვს ბევრი ნაკლი, მაგრამ ვინ იქნება რომ სთქვას, ნუ მისცემთ ასეთ თვითველობას იმათ, ვისაც არაფერი არა აქვთ. პირიქით ჩვენ გვინდა ერობა თუნდაც ისეთი მაინც როგორიც არის ეხლა რუსეთში.

**დემიდოვი.** სრულებით ვეთანხმები თავ. აბხაზის წინადადებას. საჭიროა ახლავე ჩაიყაროს საძირკველი. საჭიროა მივიღოთ 1890 წლის ერობა და მის უმთავრეს დებულებებზე ავაგოთ ჩვენი შესაფერისი ერობა.

**ლიზოგუბ.** საჭიროა კანვა, რომელზედ შემდეგ სხვა და სხვა ქსოვილები მოიქარგება. 1890 წლის ერობას ჩვენ შევასწორებთ, ამაში ხელს არავინ შეგვიშლის. მე არ მესმის რატომ არ შეიძლება მივიღოთ 1890 წლის ერობა და ამავე დროს ვიმსჯელოთ, თუ გნებავთ წვრილ ერთეულებზედ. განა არ შეიძლება?

ჩემის აზრით ჩვენ უნდა მივიღოთ 1980 წ. ერობა და შემდეგ სექციებში დავიმუშაოთ ყველა მუხლები.

**თავ. თ. ორლოვი**—სწყვეტს კრებას რამდენიმე წუთით.

(შემდეგი იქნება)

# შაბიამანი

ამ ბოლო დროს ხშირათ იწერება ადგილობრივ გაზეთებში შაბიამნის შესახებ. რომ მკითხველმა საზოგადოებამ იცოდეს სრული სიმართლე, საჭიროთ მიმაჩნია ვსთქვა შემდეგი: დღევანდლამდე მოვიტანე მხოლოდ თორმეტი ათას ოთხასი ფუთი შაბიამანი (12400). ამაზე მეტი არსად და არსაიდან ჯერ არ მომსვლია არც ერთი გირვანქა.

ეს შაბიამანი ჩავაბარე ოცდა შვიდ კოოპერატიულ ამხანაგობას 8989 ფუთი და 20 გირვანქა დ დანარჩენი 3410 ფუთი და 20 გირვანქა გაუნაწილე 266 სხვა და სხვა საზოგადოებათა, მთავრობის და საერობო ადგილობრივ სასამეურნეო ორგანიზაციებს და კერძო მემამულეთ. ოცდა შვიდ კოოპერატივში, თვრამეტი ამხანაგობა მარტო კახეთს ეკუთვნის, რომელთაც მიიღეს 6865 ფუთი და 20 გირ. და ცხრა-კი თბილისის და ქუთაისის გუბერნიების სხვა და სხვა რაიონს, 266 პირთა შორის დიდი უმრავლესობა კახეთის ცნობილნი მემამულენი არიან. შაბიამანი მიეცათ მხოლოდ იმათ, ვინც წარმოადგინა მოწმობა საგუბერნიო მევენახეობის და მეღვინეობის კომიტეტისგან იმის დასამტკიცებლათ, რომ ხსენებული პირი ვენახ-ბაღის პატრონია.

ფასი შაბიამანზე დანიშნულია მიწათ მოქმედების დეპარტამენტისაგან. შაბიამანი და გოგირდი მომაქვს მთავრობის ნებართვით და მთელი ეს ბაღვენახებისთვის საჭირო წამალი იმყოფება მიწათმოქმედების სამინისტროს ყურადღების და კონტროლის ქვეშ და ჩემს მოვალეობას შეადგენს მთავრობას სრული დაწვრილებითი ანგარიში ჩავაბარო, თუ ვის ან რამდენი მივყიდე შაბიამან-გოგირდი.

სია იმ პირთა და დაწესებულებათა, რომელთაც მივეცი ეს 12400 ფუთი შაბიამანი უკვე თავის დროზე წარუდგინე მიწად-მოქმედების სამინისტროს, მინისტრის რწმუნებულს კავკასიაში და თბილისის გუბერნიის მევენახეობის და მეღვინეობის კომიტეტს. აი ეს გახლავთ სრული სინამდვილე, რომლის გაბათილება შეუძლებელია. ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი.*)

**გ. ფრიდონოვი.**

*) ბ-ნი ფრიდონოვი თავის წერილში იმასვე იმეორებს, რასაც მისი წარმომადგენელი ბ. ხუნდაძე ამ ერთი თვის წინედ ლაპარაკობდა. ამას იმეორებს შემდეგ, როცა სხვა და სხვა პირი საბუთების ძალით გადაჭრით ლაპარაკობდა რომ ბ-ნ ფრიდონოვს აღნიშნული 12.400 ფუთზე ბევრად მეტი შაბიამანი ჰქონდა თავის განკარგულებაშიო.

რედაქცია ყოველ ღონეს ხმარობს საბუთების შეკრებას განაგრძობს, რომ ამ დიდად მნიშვნელოვან საკითხის შესახებ შესაფერი თავისი საბოლოო და უაპელიაციო განაჩენი გამოიტანოს. ბ-ნ გ. ფრიდონოვის წერილსაც უცვლელად ვბეჭდავთ.

**რედაქცია.**

# მოხერხებული გზა

„უტრო როსია“ სწერს: გერმანეთის მდგომარეობა უცბათ გაუმჯობესდა. ბელგიამ ამერიკიდამ აუარებელი სანოვაგე მიიღო და რასაკვირველია, რომ ეს სანოვაგე გერმანელების ხელში ჩავარდება. საქმე იმაშია, რომ ამ სანოვაგის შეტანის ნება თვით ინგლისმა დართო, მხოლოდ კონტროლი უნდა გაუწიოს ამერიკელმა კონსულმა. ამ ხრიკს კიდევ სხვა ხრიკიც მოჰყვა. პროფესორი მიგულინი სწერს: მიუხედავად იმისა, რომ ნეიტრალ სახელმწიფოებიდან გერმანეთს ყოველნაირი სურსათი შეჰქონდა, მაინც უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ან უნდა იარაღი დაეყარა, ან და რუსეთიდან უნდა წაეღო საჭირო სურსათი. გერმანეთმა უკანასკნელი აირჩია. სამწუხაროდ რუსეთისა და სხვა მოკავშირე სახელმწიფოთათვის გერმანეთმა რუსეთს 300,000 ოთხკუთხი ვერსი მამული ჩამოსჭრა, სადაც 20 მილიონზე მეტი მცხოვრები იყო. რაც რამ სურსათი იყო ამ მამულში, სულ გერმანელებს დარჩათ. ამით მომაგრებულ გერმანეთს კიდევ ერთი წელიწადი შეეძლო ეომნა. რასაკვირველია მცხოვრებნი უსურსათოდ დარჩნენ და გერმანელებმა კიდევ ხრიკს მიჰმართეს: საჭიროდ განაცხადეს პოლშასა, ლიტვასა და კურლიანდიაში სანოვაგის შეტანა ამერიკიდან და მის ნება ძალა უნებურად ინგლისს უნდა დაერთო. ასეც მოხდა. ეს სანოვაგეც გერმანელების ხელში ჩავარდება. ბელგიაში გარეშე კონსულები მაინც კანტროლს გაუწევდნენ და აქ კი მოუწყობელ ქვეყანაში ანგარიშს ვინ გაუწევს. მერე განა 20 მილიონს მცხოვრებს ცოტა სანოვაგე და სურსათი დასჭირდება? რამდენიმე ას მილიონ ფუთს ხორბალს თუ ფქვილს მოითხოვენ და მერე გაიგე, თუ ვის ხმარდება? რასაკვირველია, გერმანეთს საშუალება ეძლევა კვლავ ომი განაგრძოს და თავისი გეგმა შეისრულოს.

პროფესორი მიგულინი ირწმუნება, რომ ასეთ საქმის მოგვარებაში პაპი ბენედიქტე XV იღებდა მონაწილეობას და ის იყო ინგლისსა და ამერიკის შორის შუამავალიო.

# მოსკოვის ქართველთა საზოგადოების ანგარიში 1907—1916 წლამდე

„საქართველოს“ რედაქციამ მიიღო 32 გვერდიანი სუფთად შემდგარი წიგნაკი, „მოსკოვის ქართველთა საზოგადოების“ მუშაობის ანგარიში 1907—1916 წლამდე, ე. ი. საზოგადოების დაარსებიდან უკანასკნელ წლამდე.

როგორც ანგარიშიდან ვგებულობ „მოსკოვის ქართველთა საზოგადოება“ შემდგარა 1907 წ. მცირე ჯგუფის თაოსნობით, რომელთაც მრავალი დაბრკოლებანი გადაჰლობებიათ, მაგრამ მუშაკთა მცირე ჯგუფს დაბრკოლებები უძლევიათ და სასურველ მდგომარეობამდე მიუხწევია „საზოგადოებას“.

ციფრების საშუალებით დავინახავთ, ეს „საზოგადოება“ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა პირველ წელიწადს 1907 წ. და შემდეგ როგორ გაძლიერდა ნივთიერად და ამასთანავე გააფართოვა სამოქმედო ასპარეზი 1916 წლამდე.

**საზოგადოების ბალანსი**

| 1907 | 1908 | 1909 | 1910 | 1911 | 1912 წ. |
|---|---|---|---|---|---|
| 809 | 3141 | 2853 | 2691 | 2774 | 8538 მ. |

| 1913 | 1914 | 1915 | 1916 წ.წ. |
|---|---|---|---|
| 3.298 | 19.718 | 19.058 | 11.872 მან. + ლაზარ. |

„საზოგადოების“ ქონება 1914 წლამდე, მთელი წლის განმავლობაში ზედი ზედ რომ ავიღოთ, წელიწადში შუა რიცხვით 3,060 მან. უდრის, 1914 წ. კი „საზოგადოების“ მდგომარეობა უმჯობესდება და მისი თანხა 19,718 მანეთამდე ადის. თუმცა 1912 წელს საზოგადოების ქონება 5000 მანათია მაგრამ ამას შემთხვევითი ხასიათი აქვს, რადგანაც ამ თანხაში შედის 1912 წ. გამართულ საღამოს ხარჯები. ამ საღამოდან წმინდა შემოსავალი მხოლოდ 300 მ. დარჩა.

პირველად საზოგადოების შემოსავალი თითქმის მხოლოდ საწევრო ფულისაგან შესდგებოდა.

**საწევრო ფული.**

| 1907 | 1908 | 1909 | 1910 | 1911 წ.წ. |
|---|---|---|---|---|
| 252 | 561 | 198 | 325 | 325 მან. |
| 1912 | 1913 | 1914 | 1915 | 1916 წ.წ. |
| 225 | 245 | 576 | 428 | 505 მან. |

საზოგადოების გამგეობა დიდ ყურადღებას აქცევს წევრთა რიცხვის გამრავლებას. სწორედ ამისთვის საწევრო ფული შეამცირეს და ათი მანეთიდან 6 მან. ჩამოიყვანეს.

გარდა საწევრო ფულისა საზოგადოებას დაწესებულებიდან და კერძო პირებიდან შეწირულება მოსდის.

**შემოწირული ფული.**

| 1907 | 1908 | 1909 | 1910 | 1911 წ.წ. |
|---|---|---|---|---|
| 328 | 1698 | 815 | 700 | 1250 მან. |
| 1912 | 1913 | 1914 | 1915 | 1916 წ.წ. |
| 1355 | 1301 | 17010 | 5761 | 6400 მან. |

პირველ ხანობაში ფულის შემომწირველი იყო საზოგადოების საპატიო წევრი დ. ზ. სარაჯიშვილი, მისი გარდაცვალების შემდეგ, მისი მეუღლე საპ. წევ. ე. ი. სარაჯიშვილისა საზოგადოებას დიდ დახმარებას უწევენ საპ. წევ. მეუღლენი ე. მ. და ვ. პ. სუხოდოლსკები, რომლებმაც უფასოთ დაუთმეს ორი ბინა საზოგადოებისათვის და ლაზარეთისათვის. გარდა ამისა ქ. ე. სუხოდოლსკისას ყოველ წლივ საზოგადოებაში 2000 მან. შეაქვს ქართულ ლაზარეთისათვის და სასტიპენდიოთ.

1914 წ. თბილისის თავად-აზნაურობამ როდესაც შეიტყო ლაზარეთის გახსნა მოსკოვში, გამგეობას 500 მან. გაუგზავნა.

გარდა ამისა საზოგადოებამ 1915 წ. „ბეჭვდითი დღის“ (День Печати) კომიტეტისაგან 3.000 მან. მიიღო დაზარალებულ ჯარის სასარგებლოდ. გამგეობამ 2000 მ. თბილისის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას გაუგზავნა, 1000 მან. თვით დაიტოვა.

შემომწირველთა შორის განსაკუთრებითი ადგილი უჭირავს საზოგ. საპ. წევრს ლ. ქ. ზუბალაშვილს, რომელმაც 1914 წელ. ჯერ 10.000 მან. და შემდეგ 5.000 მან. შესწირა საზოგადოებას.

ბ-ნი ლ. ქ. ზუბალაშვილის სახელის აღსანიშნავად საზოგადოებამ დააარსა მოსკოვში ქართული ლაზარეთი ლ. ქ. ზუბალაშვილის სახელობისა.

ლ. ქ. ზუბალაშვილის გარდაცვალების შემდეგ ქველმოქმედობას განაგრძობდა მეუღლე მისი ოლღა ივანეს ასული და მათი შვილი ლევ ლევანის ძე. მათ საზოგადოებისათვის 1915—1916 წწ. 7 ათასი მანეთი შეუწირავთ.

ამ გვარი უხვი შემოწირულებანი საზოგადოებას საშუალებას აძლევს თვით გაიღოს შეწირულებანი: 2000 მან. გაუგზავნეს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას, 200 მან. ქართველ-მაჰმადიანთ, 300 მან. ქართულ თეატრს და 100 მან. სანატორიისათვის, რომელსაც წაღვერში ქართველ დაავადმყოფებულ მწერალთათვის აგებენ.

საზოგადოების უპირველეს მიზანს წარმოადგენს მოსკოველ ქართველ მოწაფეთა ქონებრივი და ზნეობრივი დახმარება. გაჭირვებულთ ეხმარებიან სესხით ან სტიპენდიის სახით.

სტიპენდიები: 1907 წ. — მ. 1908 წ. 75 მან. 1909 წ. 1151 მან. 1910 წ. 1113 მან.

გასესხებული ფული: 1907 წ. 293 მ. 1908 წ. 475 მან. 1909 წ. 82 მ. 1910 წ. 121 მან.

სტიპენდიები: 1911 წ. 685 მ. 1912 წ. 724 მან. 1913 წ. 603 მან. 1914 წ. 515 მან. 1915 წ. 630 მან. 1916 წ. 2,880 მან.

გასესხებული ფული: 1911 წ. 205 მ. 1912 წ. 573 მან. 1913 წ. 894 მან. 1914 წ. 357 მან. 1915 წ. 1,560 მან. 1916 წ. 2000 მან.

როგორც ვხედავთ, სასტიპენდიო თანხა წლითი წლამდე იზრდება და 1916 წ. ზუბალაშვილის წყალობით სასტიპენდიო თანხა 4880 მან. ადის.

საზოგადოებას, სხვა და სხვა სახელობისა, ცხრა სტიპენდია აქვს: 1) ე. ი. სარაჯიშვილისა, 2) დ. ზ. სარაჯიშვილის, 3) თ-დ ილია ჭავჭავაძის, 4) გ. მ. სუხოდოლსკისა, 5) თ-დ ნ. ზ. ჭავჭავაძის, 6) თ-დ აკაკი წერეთლის, 7) ლ. ზ. ზუბალაშვილის, 8) ო. ი. ზუბალაშვილისა და 9) ლ. ლ. ზუბალაშვილისა.

პირველი ექვსი სტიპენდია, თითო თხუთმეტი მანეთისაგან შესდგება თვეში (ეხლა 20 მან. გახადეს) და მხოლოდ სამოსწავლო 9 თვეში აძლევენ. უკანასკნელი სამ სტიპენდიას, ზუბალაშვილთა სახელობისას, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ეს სტიპენდია ეძლევათ იმ მოწაფეთ (უმაღლესი სასწავლებ.), რომლებიც ქართულ ისტორიას თუ სიტყვიერებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ და საზოგადოების გამგეობას შესაფერ ნაშრომს წარუდგენენ.

ათი წლის განმავლობაში საზოგადოებას, სესხად თუ სტიპენდის სახით, გაუცია 14,832 მ., ამაში თითქმის ნახევარი თანხა უკანასკნელ ორ წელიწადს დახარჯული, საზოგადოებას ამ ხნის განმავლობაში ასს კაცზე მეტისთვის გაუწევია დახმარება.

**მი უხედავათ იმისა, რომ მრავალმა ამათგანმა დაამთავრა კურსი და და**მოუკიდებლად ცხოვრობს, ფულის დაბრუნებაზე ნაკლებ ზრუნავენ.

14,832 მან. საზოგადოებამ მხოლოდ 500 მან. მიიღო. საზოგადოება მოაგონებს რა მოვალეებს, სთხოვს ფულის გადახდაზე იზრუნონ.

**ჩ. კაპანაძე.**

(დასასრული იქნება).

# დაბა-სოფლები

**სოფ. კახპი** (გორის მაზრა). როგორც ცხვარი უწყემსოთ ვერ იხეირებს, ისე სოფელი უწინამძღვროთ; სოფელ კასპის მდგომარეობაც ესეთია: მანამ ომი დაიწყებოდა ამ სოფელს სიცოცხლე ეტყობოდა, მინდორში გაისმოდა მუშის ხმაურობა, მხიარულება, გუთანზე ჰოროველა, როგორც მამაკაცები, ისე დედაკაცები ხალისიანათ მუშაობდნენ მინდორში დილიდგან საღამომდისინ. იმ დროს აქაური ინტელიგენციაც დროგამოშვებით მაინც ერეოდა სოფლის საქმეში.

რაც ომი დაიწყო და სოფლიდგან ომში გაიწვიეს მუშა ახალგაზრდობა, მას შემდეგ სოფელი გაყუჩდა, ხალხს გაუქრა პირზედ ღიმილი, მინდორში გაჰქრა ხმაურობა, მოძრაობა და ჰოროველა. წლეულს ნახევარზედ მეტი მინდვრები მოუხნავი და დაუთესავი დარჩათ. მუშა ხელი გაძვირდა, სათესლეც არ იშოვება. ინტელიგენციამ წვრილ კრედიტის დახმარებით სოფელს აღუთქვა სათესლე ხორბალს (შავ ფხას) გამოვიწერთო, მაგრამ ვერ მოახერხეს.

სადგურის უფროსმა ბ. დიმიტრი ღოლობერიძემ სოფელს ურჩია კოოპერატიული ამხანაგობის დაარსება. სოფელი დიდის აღტაცებით მიეგება ამისთანა სასარგებლო დაწესებულებას. შეაგროვეს სამას თუმნამდე მეტი. მთავრობის ნებართვაც მიიღეს, სახლიც იშოვნეს, და ამ მოკლე ხანში კიდევაც დაიწყობენ ვაჭრობას, მხოლოდ ამისთანა საქმისათვის სოფელი დაეძებს საიმედო და სინდისიან დახლიდარს.

იმედი უნდა ვიქონიოთ კოოპერატიული ამხანაგობა დაცემულ სოფელს მალე ფეხზე დააყენებს თუ ეს საქმე რიგიანად დაიწყეს, სოფელს არ გაუჭირდება არც ფერშლის შენახვა, არც აფთიაქისა, და არც წყლის გამოყვანა.

წლეულს, როგორც ჭირნახულს, ისე ვაზს კარგი პირი უჩანს, მაგრამ თვალები დაგვებრიცა ქალაქისაკენ, ყველანი შემყურენი ვართ ფრიდონოვისა და ქართულ სამეურნეო საზოგადოებისა. ორივენი დიდს იმედებს გვაძლევენ, საქმე რითი დაბოლოვდება ჯერ არავინ იცის.

შარშან ამ დროს მუშა თავის პურით მუშაობდა დღეში სამ აბაზათ დღეს-კი ექვს შვიდ აბაზ ნაკლებათ არ მოდიან, რაღა იქმნება თიბათვის ან ყანის მკის დროს.

სოფელი განიცდის სიმშილს, თუ დროზედ არ უშველეს თავიანთ თავს, შესაძლებელია პურის მაგიერ ხალხმა მინდვრის ბალახებით ირჩინონ თავი. საჭირო იყო ბ. გუბერნატორისათვის მიემართა სოფელს, რომ მან ფქვილის შეძენაში დახმარება აღმოუჩინოს.

უცნაურმა ჭირმა მთლად გამუსრა ქათამი, იხვი, ბატი, ინდაური და ღორი. გაზაფხულზე მთლად გამუსრა ცხვარი და ბატკანი. რის გამო მწყემსები იძულებულნი შეიქმნენ ვადაზედ ადრე ბინიდგან აყრილიყვნენ.

ბუნება დრო გამოშვებით გვაჯილდოვებს. წვიმით, რომელიც დიდად სასარგებლოა მოსავლისათვის.

**არჩილ დარეჯანიშვილი.**

**ძირულა.** (შორაპ. მაზრა.) სასიხარულოთ უნდა აღვნიშნოთ რომ ახლათ დაარსებულ ძირულის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს საქმე მშვენიერ ნიადაგზე არის დაყენებული და დიდი მადლობის ღირსია მისი გამგეობა რომელმაც სამკითხველოსთვის იქირავა მეორე სართულში სრული ოთახი და მორთო ძვირფას ჩარჩოებში ჩასმულ მწერლების სურათებით. ჯერჯერობით სამკითხველოს მოსდის შემდეგი ჟურნალ გაზეთები: „საქართველო“, „სახალხო ფურცელი“, „თან. აზრი“, „ეშმ. მათრახი“, „განათლება“. „ნაკადული,“ „ჯეჯილი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სამშობლო“, „სასოფლო გაზეთი“, „ზვირთი“, „შინ. საქმეები“, „ზაკ. რეჩი“, „ნაშ. გოლოს“, „დენ“, „ნივა“, „პრიხოდ. ლისტოკ“, და სხვა... ყოველ დღე მოსდის შემოწირულება როგორც ფულათ აგრეთვე წიგნებიც...

ძირულაში დაარსდა კოოპერატიული მომხმარებელი საზოგადოება „სახა ლხო დუქანი“, თავდაპირველათ გამგეობა ენერგიულათ შეეცადა ასეთი ფრიად მნიშვნელოვანი საქმის აღორძინებას, მაგრამ ამ გარემოებას წინ გადაეღობა საქონლის „ვაგონები“-ს შეჩერება და ამის გამო დუქნის საქმეც ჯერჯერობით შეფერხებულია, და იმედია გამგეობა ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავს და ახლო მომავალში საქმეს რიგიან კალაპოტში ჩააყენებს.

1915 წელს აქ აირჩიეს კომიტეტი, რომელსაც უნდა გაეკეთებია მდ. ჩხერიმელაზე გაღმა-გამოღმა ბაზრისა და სოფლების შემაერთებელი ფრიად უსაჭიროესი, საურმე ხიდი,—ქვიტკირის ბურჯები ამ ხიდისა როგორც იქნა კომიტეტმა ამოიყვანა და აქობამდის კიდევაც დასრულდებოდა, რომ ამ საქმეს წინ არ გადაღობებოდა მაშინ ადგილობრივ მავნე ადამიანი.

**ქეთოს ნათლია.**

# წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ შენიშვნას თქვენ პატივცემულ გაზეთში. „საქართველოს“ უკანასკნელ კვირის №-ში დაბეჭდილია პატარა წერილი კან-ძე-სი, რომელიც შეეხება გორის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას. ამ წერილში ნათქვამია, რომ ერთი ჯგუფი და მათ შორის ბ. დ. ონიაშვილიც სასტიკ პროტესტს უცხადებდა საბჭოს მ. ქარუმიძეს დეპუტატათ ამორჩევის გამო და რომ ეს ჯგუფი დარაზმულია ჩვენ წინააღმდეგ. მოვალეთ ვრაცხ ჩემ თავს გამოვაცხადო, რომ ეს ასე არ არის: ბ. ონიაშვილი და საზოგადოდ ყოველი ჯგუფი გორში დიდი სიმპატიით შეხვდნენ ახალ საზოგადოების დაარსებას, რომელიც იმედია ყოველ პარტიათა გარეშე იქნება. რაც შეეხება ბ. ქარუმიძეს ამორჩევას, მართალია შეკითხვა იყო როგორც ონიაშვილის ისე სხვა ჯგუფის წარმომადგენელის მხრივ და რა გაიგეს საბჭოსგან საქმის ვითარება, ამით დაკმაყოფილდნენ.

გორის სას. სამ. საზოგ. თავმჯდომარე
**ი. ქურდიანი.**

რედაქტორ-გამომცემელი
**ხანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | 8.53 სღ. |
| „ | საფ. „ | 3 | 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | 10.20 სღ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | 12.8 დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 11.13 ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | 9.30 სღ. |
| „ | სამგ. „ | 10 | 9.51 დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | 9.3 დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | 7.41 სღ. |
| „ | სამგ. „ | 7 | 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 8.8 დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე ხწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| ტფილისიდან | 8 ს. 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ 23 | „ „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ 43 | „ „ |
| ვაზიანიდან | 10 „ 42 | „ „ |
| იორიდან | 11 „ 35 | „ „ |
| საგარეჯოდან | 12 „ 17 | „ „ |
| ბადიაურიდან | 1 „ 15 | დღის |
| მელაანიდან | 2 „ 37 | „ „ |
| გურჯაანიდან | 4 „ 08 | „ „ |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ 58 | „ „ |
| თელავში მიდის | 5 „ 35 | „ „ |
| გურჯაანიდან | 4 „ 18 | „ „ |
| კარდენახიდან | 4 „ 50 | „ „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ 15 | „ „ |

**თელავიდან**

| | | |
|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ 45 | „ „ |
| გურჯაანიდან | 10 „ 46 | „ „ |
| მელაანიდან | 12 „ 02 | „ „ |
| ბადიაურიდან | 1 „ 13 | დღის |
| საგარეჯოდან | 2 „ 15 | „ „ |
| იორიდან | 2 „ 53 | „ „ |
| ვაზიანიდან | 3 „ 40 | „ „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ 31 | „ „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ 46 | „ „ |
| თბილისში მიდის | 5 „ 01 | „ „ |
| წნორის-წყლიდან | 9 ს. 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ 46 | „ „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ 16 | „ „ |


# გამოსადეგი ცნობა

## კავკასიის სამკურნალო ადგილების ცნობის მიმცემი ბიურო

(ბარიათინსკის ქუჩა № 6.)

უფასოდ იძლევა ყოველგვარ ცნობებს კავკასიის სამკურნალო ადგილების ყოველგვარ საკითხზე. ბიურო ღიაა საღამოს 5—7 საათამდე ყოველ დღე, უქმე დღის გარდა. ტელ. 14—96. წერილობითი პასუხის მისაღებად 10 კ. მარკა უნდა გამოიგზავნოს. (უ)

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართოულად თავმოთუმლი ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის მიერ** პეტროგრადში დ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“




**მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე**

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

# თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები, რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.